


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბეჭე-
უტი სიფყავა, ტყუილებით და ჭიბბით ბუბ-
თის გატანა ყველა უკადრისძობაჲ უსამაგლესია.

სამშაბათი, 9 აგვისტო. 2016 წ. №146 (8038), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თატირი.

ქვეყანას გორგობად დაუფლებულმა ნაციონალებმა იმდენი უდანაშაულო ახალგაზრდის სისხლი დაღვარეს და ისე დააქუსებეს საქართველო, რომ ისტორია არამც და არამც არ აპატიებს!



ნაციონალთა უსირცხვილობასა და უტიფრობას მართლაც საზღვარი არა აქვს. იმის მაგივრად, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის მერვე წლისთავეზე მაინც გაესწორებინათ სიმათლისთვის თვალი და საქვეყნოდ ელიარებინათ თავიანთი დანაშაული, კერძოდ, თავიანთი ჰალსტუხიჭამია ამირსპასალარი მიხეილ სააკაშვილი საყოველთაოდ ემხილებინათ როგორც ცხინვალისკენ პირველი სამტრო ტყვიის გასროლის, ფართომასშტაბიანი გაუაზრებელი ომის დანებების ბრძანების გამ-

ცემი, ჩვეულებისამებრ, უმანკო ბატონებით დაირაზმნენ და „დიდი მწუხარების“ ნიშნად „ბოროტების ყვავილებით“ მოფინეს მუხათგვერდის სასაფლაოზე ცხინვალის ავანტიურის დროს უღვთოდ დაღუპული ახალგაზრდების საფლავები.

ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქემ დამნაშავე ნაციონალების ეს ნაყალბევი ნაბიჯი ერთგვარ ცინიზმად აღიქვა, რაც საბოლოოდ უნდა სასტიკად დაისაჯოს და დღეს თუ არა, ხვალ, ალბათ, აუცილებლად დაისჯება!

ხალხის ხელოვნება — 1000

ქებათა ქება ნიკორწმინდას

მაქვს მკერდს მიდებულნი
ქნარი, როგორც მინდა.
ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა
დიდი ნიკორწმინდა.

გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარვით დამქარგავი
ნაზი შუქურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მაღლა ნიკორწმინდა!

რა განძი გვექონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ფედრს ქვის ჰარმონია —
დარობს რამედი დარი.

კარგად გამოჰკვეთა,
ვინაც გამოჰკვეთა,
სიბრძნით გამოჰკვეთა
მძლავრი ნიკორწმინდა.

აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მაღლმა ააგო
სვეტი — ნიკორწმინდა!

ვგრძნობ, ვით დიადია
თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია
ცეცხლი მისარქმელი:
ნეტა ვინ აანთო,
რომ გრძნობით აანთო
და წლებს გადაანდო
ნათლად ნიკორწმინდა!



ხვეულთ დიადება
ვხედავ — რა უხვია,
დრომ მას დიადება
კრძალვით შეუსვია.
ნეტა ვინ მოჰქარგა,
და როცა მოჰქარგა,
შიგ მიჰქარგ-მოჰქარგა
ვხნება — ნიკორწმინდა!

მკვეთრი და მოქნილი
ხაზთა დასრულება
არის ამოდქმნილი
ნატურის ასრულება.
ეს ის სიმკვეთრება,
ეს ის სიმდიდრება,
რათაც მკვიდრია
ქველი — ნიკორწმინდა!

შენი სულმნათისად
ასვლა ეროვანი:
ყელი გუმბათისა
მაღალდეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
სათოდ აღერილი,
გშვენის, ნიკორწმინდა!

მხერა ქართულია
სიგრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები ვინდა,
კიდევ ფრთები ვინდა,
ვინდა დაუფლო
სიგრცეს ნიკორწმინდა!

შენ ფრთამოღულუნეს
ფაშთა სიმალღუნე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი.
მძლავრი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება —
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!

გალაპტიონ ტაბიკა



ძართული ხუროთმოძღვრების შედგენის ნიკორწმინდის ტაძრის აგებიდან 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო წირვა-ლოცვას საქართველოს პრე-

მიერ-მინისტრი დაესწრო. ნიკორწმინდის ტაძარში საზეიმო ლიტურგია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღავლინა.

„მოხარული ვართ, რომ ამ ისტორიულ დღეს ესწრება საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მივესალმები მას. გისურვებთ ის გეგმები, კეთილი ზრახვები, რაც დასახული გაქვთ, წმინდა ნიკოლოზის ლოცვით შესრულდეს. ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!“ — განაცხადა ილია მეორემ.

საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ტურიზმის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, სოფელ ნიკორწმინდაში სარეაბილიტაციო სამუშაოებს იწყებს. სამუშაოები მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის — ნიკორწმინდის ტაძრის რესტავრაციას, მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობასა და გზის რეაბილიტაციას. ასევე გათვალისწინებულია: ცენტრალური მოედნისა და

ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ლობის რეაბილიტაცია და ჭიშკრების მოწყობა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სოფლის ცენტრში არსებული შენობების ფასადების რეაბილიტაცია, სკვერის მოწყობა და სხვ.

— სახელმწიფო პროგრამის „ანარმოდ საქართველოში“ ახალი კომპონენტის — „უმასპინძლე საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით, რაჭაში, შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სასტუმრო შენდება. სასტუმრო-კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა დაათვალიერა.

პრემიერ-მინისტრს მასპინძლობა ბიზნესმენმა მამუკა ჯმუხაძემ გაუწია. მისი ინფორმაციით, მშენებლობას კომპანია „ჯეოტექნიკსტი“ ახორციელებს. სასტუმრო „შაორი“ ფუნქციონირებას 2017 წლის ზაფხულიდან დაიწყებს.



გიორგი კვიციანი:
ამ ომით კიდე უფრო
დაკორუმირებული უნდა იქნას!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი მთავრობის წევრებთან ერთად მუხათგვერდის ძმთა სასაფლაოზე აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალს გახსნა და პატივი მიაგო გარდაცვლილთა სსოვნას.

„დღეს 8 წელი გავიდა ყველაზე ტრაგიკული მოვლენის შემდეგ საქართველოს უახლეს ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო რამდენიმე დღიანი ომი, ჩვენმა ქვეყანამ ძალიან დიდი დარტყმა მიიღო. მე ქედს ვიხრე ყველა იმ გმირი ჯარისკაცის სსოვნის წინაშე, რომელიც შეეწირა სამშობლოსთვის უსასტიკეს, არათანაბარ ბრძოლას. ამ ომის შემდეგ, რუსეთის ოკუპაციის შედეგად, საქართველოში ჩვენივე მოქალაქეები გახდნენ დევნილები. ამ ომის შედეგად ჩვენ კიდევ უფრო დაფორმდით აფხაზებს და ოსებს.“

პრემიერ-მინისტრის თქმით, ქვეყნის მშვიდობიან გამთლიანებას ალტერნატივა არ გააჩნია და ამ მიმართულებით საქართველომ უნდა გააგრძელოს თანმიმდევრული პოლიტიკა.

„რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემორჩენის პროცესს, რომელსაც სახელმწიფო ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებს. ჩვენ ქვეყანა უნდა გავხადოთ ყველა სისხლისმღვრელი და საინტერესო. საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით უნდა შევძლოთ ჩვენი ქვეყნის გაერთიანება. მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში აღარასოდეს აღარ განმეორდეს სისხლისღვრა. კიდევ ერთხელ ქედს ვიხრე ყველა იმ ადამიანის სსოვნის წინაშე, როგორც ჯარისკაცების, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის, რომლებიც ამ უთანასწორო ბრძოლაში შეეწირნენ რუსეთის ოკუპაციას“, — აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი მარგველაშვილი:
რუსეთი ვერასდროს ვერ გააქცევს
იმ უსამართლობას, რაც ჩაიდინა
საქართველოს წინააღმდეგ

გიორგი მარგველაშვილმა უსრულა სიტყვები ერთმნიშვნელოვნად უთხრა, რომ საქართველო დაკარგულ ტერიტორიებს მშვიდობიანად, შერიგების შედეგად დაიბრუნებს, რუსეთს კი თავის სისხლიან ნაბიჯზე პასუხის გაცემა მუდმივად მოუწევს.



„ერთი არის რეალობა — რუსეთი ვერასდროს ვერ გაექცევა იმ უსამართლობას, რაც ჩაიდინა მისი მეზობელი ერის წინააღმდეგ. ეს შავი ლაქა — ჯერ ოკუპაცია და შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე თითქოსდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღიარება, იქნება ის პრობლემა, რომელიც რუსეთს მუდმივად წინ დაუდგება.“

ჩვენ არა ომით, არამედ შერიგებით ნამდვილად გავამთლიანებთ საქართველოს, მაგრამ რუსეთს მუდმივად ექნება პასუხი გასაცემი იმაზე, რანაირად გადადგა ასეთი სისხლიანი ნაბიჯი თავისი მეზობელი, მცირე ერის წინააღმდეგ. რანაირად შეიძლება ბირთვულმა სახელმწიფომ თავის მეზობელ ერს ასეთი ტვიკილი და ტრაგედია მიაყენოს და ამის მერე, შექმნას და ვითომ აღიაროს კვანძი სახელმწიფოები“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ლევან იზორია:
საქართველო, თითოეული
ქართველი გულად იბრუნებს
მათი სხელებით

მათ გვიჩვენეს საუკეთესო მაგალითი სამშობლოსთვის თავდადებისა და თავგანწირვის, — განუცხადა უსრულა სიტყვებს ლევან იზორიამ მუხათგვერდის სასაფლაოზე, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა სსოვნას პატივი მიაგო.



„მათ გვიჩვენეს საუკეთესო მაგალითი სამშობლოსთვის თავდადებისა და თავგანწირვის. საქართველო, თითოეული ქართველი მუდამ იბრუნებს მათი სხელებით. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მათ ოჯახებს, დედებს ასეთი შვილების აღზრდისთვის. დღეს ისინი აქ არიან. დღეს ისინი ყველა ქართველი ვაჟკაცის გმირი დედები არიან. მინდა, დავდო პირობა, რომ მათ სხელებსთან ერთად ვიზრუნებ და დავიცავ თითოეული ჯარისკაცის პატივსა და ღირსებას“, — განაცხადა ლევან იზორიამ.



ქეთევან სინელაშვილი:
უპირობო ვითარებით არს
ქართველი, არს ოსი და არს
აფხაზი ხალხი არ ხშირებს!

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის ქეთევან სინელაშვილის განცხადებით, საკმარისი დრო გავიდა იმისათვის, რომ ომის შედეგები ემოციების გარეშე შევავსოთ.



„ეს არის საერთო ტრაგედია და საერთო ტვიკილი და ეს ტვიკილი, რამდენადაც გვაშორიშორებს, იმდენად გვაერთიანებს. ალბათ, დღეს არის სწორედ ის დღე, როდესაც ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ საკმარისი დრო გავიდა იმისათვის, რომ ემოციების გარეშე შევავსოთ ომის შედეგები, ის ვითარება, რომელიც შეიქმნა და ის მოცემულობა, რომელიც გვაქვს, მათუფლებლობით დაშორიშორება, დაპირისპირება არც ერთი ჩვენგანის ინტერესში არ შედის. და თუ ვინმე ხეირობს ამ ვითარებით, ეს არც ქართველი, არც ოსი და არც აფხაზი ხალხი არ გახლავთ...“

ლევან ნარმანი:
ბევრი ასეთი პაქასი გეჭირდება!

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, საქართველოს სჭირდება ვაჟკაცები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გაერთიანებასა და სიძლიერეზე იბრუნებენ. ამის შესახებ დავით ნარმანიამ მუხათგვერდის სასაფლაოზე, 2008 წლის აგვისტოს ომის მე-8 წლისთავის აღსანიშნავად ღონისძიებაზე განაცხადა.



„თითოეული ჩვენგანისთვის დღევანდელი დღე ძალიან მძიმედ მოსაგონარი, ძალიან ემოციური დღეა. ყველანი მოვდივართ იმისათვის, რომ გავისხენოთ ის ბიჭები, რომელთა მხრებზეც ყოველთვის გადადოდა ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, ჩვენი ქვეყნის სიმტკიცე. ისინი ნამდვილი გმირები არიან, ნამდვილად არიან ღირსები იმისა, რომ ყოველთვის გავისხენოთ და მოვიგონოთ მათი სხელები და, მეორე მხრივ, ბევრი ასეთი ვაჟკაცი სჭირდება ჩვენს ქვეყანას, რომლებიც დღე და ღამე იფიქრებენ და იბრუნებენ ჩვენი ქვეყნის გაერთიანებაზე, ჩვენი ქვეყნის სიძლიერეზე“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ვით ნარმანიამ. მუხათგვერდის სასაფლაოზე აგვისტოს ომის მონაწილე 43 სამხედრო მოსამსახურეა დაკრძალული.

ლევან უსუფაშვილი:
დაკარგულ ტერიტორიებს
სამხედრო ძალების და
ნატოს მეშვეობით ვერ და
არ დაიბრუნებთ!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, 8 წლის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა, მათ შორის საქართველოს მოსახლეობაც უფრო და უფრო იაზრებს იმ გმირობას, რაც თანამოქალაქეებმა, სამხედრო მოსამსახურეებმა და სამოქალაქო პირებმა ჩაიდინეს.



„8 წლის შემდეგ ის ტრაგედია და ტვიკილი ალბათ მ-ჯერ უფრო მძიმედ და მწვავედ აღიქმება, იმიტომ, რომ არ არის გაცემული პასუხები იმ უბედურებაზე, რაც მოხდა. საერთაშორისო საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის, მზად მომხდარს ადეკვატური პასუხი გაცეს, მაგრამ სასიხარულოა, რომ ქართველი ხალხი ერთ მუშტად შეკრული და საკუთარი მომავლის დასაცავად კიდევ უფრო მეტად არის მომზადებული“, — განუცხადა უსუფაშვილმა, რომელმაც აგვისტოს ომში დაღუპულთა საფლავები მუხათგვერდის სასაფლაოზე ყვავილებით შეამკო.

მისი თქმით, ყველამ ყველაფერი უნდა გავაცეთოთ იმისთვის, რომ დავიცვათ საქართველო და ამისთვის არის მნიშვნელოვანი ნატოში ინტეგრაცია.

„ჩვენ დაკარგულ ტერიტორიებს სამხედრო ძალების და ნატოს მეშვეობით ვერ და არ დაიბრუნებთ, მაგრამ დანარჩენ საქართველოს ნაწილს ჩვენი მოკავშირეების გარეშე ვერ დავიცავთ. ამიტომ არის აუცილებელი მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა, რომ ჩვენი ქვეყანა, რაც შეიძლება მეტად იყოს დაცული, რაც შეიძლება მალე ჩვენ აღარ გვექნდეს განცდა იმის, რომ კვლავ აღმოვჩნდეთ მარტო აგრესორთან დაპირისპირებაში“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა. მისივე თქმით, უნდა შევეგუოთ, რომ ომის გამოძიებას საერთაშორისო ასპარეზზე სჭირდება არაერთი წელი.

ნიკოლოზ მუხამანაძე:
რუსეთში რუსული სააპაშვილია ჯერ
ტერიტორიები, ომის შემდგომ
კი ყველა სტრატეგიული
ოპიქტი გადასცა რუსეთს

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის ნიკოლოზ მუხამანაძის განცხადებით, სირცხვილია, რომ ქართველი სამხედროების განადგურებისა და საქართველოს ტერიტორიების დაკარგვისთვის პასუხი ჯერაც არაა უცხად. ამის შესახებ მუხამანაძემ 2008 წლის აგვისტოს ომის მე-8 წლისთავზე განაცხადა.



„ამაზრუნია, როცა 2008 წლის აგვისტოს მთავარ დამანაშავეებს ჯერაც არ უგიათ პასუხი და არ გასამართლებულან. კიდევ უფრო ამაზრუნია, ნაციონალები, ვინც ჩვენი ბიჭები განიარა და წინასწარ წაგებულ ომში ჩართო და შემდგომ ბრძოლის ველზე მიატოვა, დღეს მათ საფლავებზე პიარის გასაკეთებლად მიდიან“, — განაცხადა მუხამანაძემ და აღნიშნა, რომ აგვისტოს ომში საქართველო წინასწარ იყო განწირული.

„არასდროს არცერთ მფევეს თუ ხელისუფალს საქართველოს ისტორიაში ჯარი არ დაუძრია ისეთი მტერის წინააღმდეგ, რომელთან ბრძოლისას გამარჯვების არანაირი შანსი არ იყო. სააკაშვილმა კი სწორედ ეს გააკეთა, იცოდა რა რომ რუსეთი ჩაერთებოდა ცხინვალში ქართული შენაერთების შესვლის შემთხვევაში, ქართველი ბიჭები სიკვდილზე გაუშვა. როცა ჯარს განგრეულ კაიფში მყოფი კეზერაშვილი და „დიდი სამხედრო სტრატეგი“ უგულავა ხელმძღვანელობდნენ, რა გამარჯვების იმედს უნდა გვექონოდა. კურდღლებივით გაქცეული სამხედრო ხელმძღვანელობა და ხელისუფლება, რომლებმაც ქართული სოფლები ჩააბარეს მტერს სამაჩაბლოსა და კოდორში, რუსეთის პრესპეტზე გამარჯვებაზე ზეიმობდნენ — რუსეთის სახე ვაჩვენეთ მსოფლიოსო. ეს იყო სააკაშვილის მიერ წინასწარ დაგეგმილი ნაბიჯი, რომელიც ქვეყნის განადგურებას ისახავდა მიზნად. რუსეთში მყოფი სააკაშვილმა ჯერ ტერიტორიები, ომის შემდეგობ კი ყველა სტრატეგიული ობიექტი გადასცა რუსეთს. ბოლოს კი მხარი დაუჭირა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას. სირცხვილია, რომ ქართველი ბიჭების განადგურების და ტერიტორიების დაკარგვისთვის ჯერაც პასუხი არავის უგია. დადგება დრო, როცა ისინიც პასუხს აგებენ, ვინც ქვეყანას გაერთიანების მიზერული შანსი დაუტოვა და ისინიც, ვინც ისინი თავის დროზე არ გაასამართლა...“

მის შემდეგ, რაც ბოლო ხანებში რევოლუციების რომანტიკულ-პერიოდიული საიდუმლოებები გაცხადდა (და მრავალი კიდევ გაცხადდება), ჩვენი უახლესი 70 წლის ისტორია სრულიად ახლებურად, დაუჯერებლად, მაგრამ რეალისტურად წარმოგვიდგება.

რევოლუციები ციდან არ ცვივა, რევოლუციები მომზადდება სჭირდება, გულდასმით და გონივრულად. გაიმარჯვებს ის რევოლუცია, რომელსაც გამოწვევით დაგეგმავენ და აღასრულებენ, თან მოულოდნელობის ეფექტსაც გამოთვლიან, როგორც კანონზომიერებას.

რევოლუციური სიტუაციის ლენინური განსაზღვრება შეიძლება გახსოვდეთ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოდან (1980-იან წლებამდე სახელმძღვანელოზე მოგახსენებთ): **ქვედა ფენებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება, ხოლო ზედა ფენებს აღარ ძალუძთ ძველებურად მართვა...**

მოულოდნელობის ეფექტზე ვლადიმერ ილიჩს არაფერი უთქვამს, მაგრამ ჩემი აზრით, ამჟამინდელ ისტორიულ ვითარებაში მას აუცილებლად დაამატებდა თავის დღემდე ცოცხალ თეორიულ მიგნებაზე.

მოულოდნელობის ეფექტით და-ვინყოთ. 1905 წლის ივნისში რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის ჟამს, კრესიერ „პოტიომკინზე“ მოხდა საგანგებო შემთხვევა: მატროსებმა ბორშჩში მატლები აღმოაჩინეს და აბუნტდნენ. ეს ამბავი დიდებულად გამოიყენეს რევოლუციის ბებიაქალებმა, იმდენად დიდებულად, რომ ძალაუნებურად იფიქრებ, ის მატლები ბორშჩში საერთოდ რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად უნდა ჩაეყარათ.

ალბათ (იქნებ) ასეც მოხდა! ყოველ შემთხვევაში ვერავინ დამაჯერებს, რომ სწორედ ასე არ მოხდა, მით უფრო, რაც ერთი საუკუნის შემდგომი სამამულო პოლიტიკოსების ყოველად ბინძურ, სინდისგარეცხილ პოლიტიკოლოგიებს ვუყურობ.

სწორედ „პოტიომკინის“ აჯანყება გამახსენდა, როცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის არნივების მიერ მართულმა, სოროსის ძუძუნანოვმა (განსაკუთრებით მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როცა კაცო ჟანგბადივით იწოვს კარგსაც და ყველაფერ სისაძაგლესაც) **საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა ქვეყნის ისედაც წვიპზე მდგარ ცხოვრებაში ერთი მუჭა მსუქანი მატლები შეაპარა – საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე ზენოლა ხორციელდებო.** თანაც ეს ისე ვირეშაკულად ქმნა, რომ თვითონვე „გულუბრყვილოდ“ დაიჯერა, ეს მყრალტი დივერსია ვერავინ შეამჩნიაო. განსაკუთრებით მას შემდეგ ირწმუნა თავისი ხელმარჯვეობა, როცა მუდმივად „ფრონტის წინა ხაზზე“ ჩასაფრებულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თავის წილ ერთი ქოთანის „ღამის ოქრო“ დაამატა პაპუაშვილის მატლებს.

კაცმა რომ თქვას, სანამ ბატონი პრეზიდენტი ამ თავის წილ საძიხლს მოისაქმებდა კონსტიტუციური სასამართლოს თავმჯდომარის რევოლუციური კრიზისის გასაძინებლად, საფუძვლიანად უნდა ჩაფიქრებულყო თავისი ერთობ პრობლემური „ოჯახის წევრების“ შეთავაზებაზე სამართალდამცავთა ძალმომრეობის ობიექტებად.

მოულოდნელობის ეფექტი არ გამოვიდა: საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა არ დაადასტურეს მათზე ზენოლა, ვერც პრეზიდენტის ოჯახის წევრების ჩხრეკვები და უკან თითის მიცემები აღმოჩნდა უმანკოების წართქვე მისი ცოლისძმისა და სიძისთვის და ახლა არის მთელი ფრონტი უკანდახევა და „სახის შეწარჩუნებისთვის“ ბრძოლა.

ერთი სიტყვით, გიორგი პაპუაშვილმა მატლებიანი ჩანაფიქრის ავტორთაგან საკონსტიტუციო რევოლუციის აფეთქების დავალება მიიღო და შეასრულა კიდევ, მაგრამ ჩანაფიქრი ჩაიფუშა, რაც, კაცმა რომ თქვას, იმის ბრალი სულაც არ არის და ახლა (ან ცოტა ხნის შემდეგ) ამ გაპონობისთვის პასუხისგება მოუწევს, თუ გამარჯვებული (ეს უდავოა!) „ქართული ოცნება“ ისევე ყბადაღებული კოჰაბიტაციის გზით არ წავა, რამაც იგი (ხელი-სუფლება) ერთხელ უკვე მიიყვანა საორჭოფო ფინიშამდე.

სახელმწიფო გადატრიალების მცდე-

ლობა არ შეიძლება, უბრალოდ ეპატიოს ვინმეს, ჩაიკარგოს და მიფუჩქედეს.

* * *

ახლა ლენინურ კონცეფციაზე „ქვედა ფენები“ პროვოკატორებს არ აყენენ, არადა პროვოკაციის ავტორები ვარაუდობდნენ, რომ ისინი, რომლებსაც აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება, რევოლუციაში კისრით გადაეშვებოდნენ, ე. ი. აღარ მოისურვებდნენ ძველებურად ცხოვრებას. აღმოჩნდა უცნაური რამ: მათ („ქვედა ფენებს“) ყოველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ყალბი ზენოლის გახმინებით და პენსიაზე ხელშესახები დანამატის რევოლუციური სურნელის მქონე შეთავაზებით არავინ მოლოდინებულა.

დავით ბაქრაძის გულისამრევ მსუყე ღიმილს „ქვედა ფენებში“ ვერ არავინ გადაუყვანია ჭკუაზე, ყოველ შემთხვევაში ისე მაინც, რომ ექსპიკერისეული ბრძოლის ტაქტიკითა და სტრატეგიით – მტერთან ხელჩართულში დანა-ჩანგლითა და შამფურებით გადაშვებულიყვენ, თან ცა-

აქ ერთი ამბავი მახსენდება. 1988 წელს ჩილეში კომუნისტებმა, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის (კუხელი და საბჭოთა კომუნისტების) მხარდაჭერით და უშუალო დახმარებით, ჩასაფრება მოახყვეს დიქტატორ პინოჩეტის კორტეჟზე დიდებულად ორგანიზებული თავდასხმა ერთობ ხმაურიანი, ოღონდ წარუმატებელი იყო. პინოჩეტი გადარჩა. მაგრამ თავდასხმის ორგანიზატორებს „ზაგაჟიკში“ ერთი იმედივერსიაც ჰქონდათ: საქმლველ დიქტატორზე ჩაშლილი თავდასხმა ხალხის მასობრივი გამოსვლით დაგვირგვინდებოდა და ეს საყოველთაო მრისხანება მანც დაამხოდა პინოჩეტს. მაგრამ... არც ეს იმედი ახდა. ხალხმა მარცხის გამო სინანულით კი გადაიქნია თავი, მაგრამ ხელიც არ გაუწმრევია: ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ალიენდემ დასული 13 წლის მანძილზე ხალხი შეცვლილიყო – მას აღარ სურდა კვლავ არეულობაში და გაურკვევლობაში გაეყო თავი.

ვინ ასწავს თამასას? 300 – ერთი! 300 – ორი! ვინ იძლევა 350-ს?

ისე, რა იოლია, არა? შეჰპირდი შენც, შე კაცო, სიტყვა გენანება?

ერთი ძველი ანეკდოტი ხომ გახსოვთ: ექიმო, კვირაში მხოლოდ ერთხელ ვახერხებ, მიშველეო. შენს ასაკში მშვენიერი შედეგია, რა გალელევესო? რა და ჩემი მეზობელი ჩემზე უფროსია და ამბობს, სამჯერ ვაკეთებო... მერე შენც თქვი, რატომ იჩაგრავ თავსო!

ჰოდა, როცა ირავლი აღასანია მთელი საქართველოს პენსიონერთა გულის გასახარ 300-ლარიან „პროგრამას“ ხელთათმანივით ისვრის ტრიბუნიდან, მისი როზა ლუსკემბურგი ნინო გოგუაძე ისე ჩატკბილულად უკრავს ტაშს, თითქოს ეს-ესაა სწორედ თვითონ ჩამოურიგო 800 ათას დედაბერსა და ბერიკაცს შეპირებული სამას-სამასი და მათი მადლობაც მოისმინა, „ვისია, ვისია, ქალი ლამაზიო“.

არის ასეთი პრაქტიკა – გაითიშნენ, რათა შეერთდნენ. გიორგი ვაშაძემ და ზურაბ ჯაფარიძემ, ამ ორმა ლამის ყველაზე ოდიოზურმა ნაცმა, ამ ცოტა ხნის წინათ დატოვა მშობლიური ბუდე, თავთავისი პარტია შეაკონინა და ახლა ისევე გულამოსკენილი ჩახეხუა ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ამ ბლოკად შეკვრას წინ ვითარების რეალური შეფასება უძღვოდა, ანუ, თავის დროზე რომ რატომღაც იფიქრეს, ჩვენს „გიორჯი“ თუ „ბოლქვი“ ნახევარი საქართველო მინც დასცემს ბანაკსო, არ მოხდა ასე და ერთად სიკვდილი ამჯობინეს, ხმის გამცემი მანც გვეყოლება გვერდითო.

იმათი სულისკვეთება კი გასაგებია, მაგრამ „აჰასფერს“ – მამუკა კაციტაძეს, ამ წყვილს რომ არ შორდებოდა ტელეეკრანზე, რა ამოდრავებს“, ეს კი დიდი გამოცანაა. თუმცა რა გამოცანა, იმასაც ის რჯის, რაც ჩვენი ოპოზიციის მთელ სპექტრს ანიდან ჰქომდე, ანუ ბურჯანაძიდან – უსუფაშვილამდე – მომავალ ოთხ წელიწადში პარლამენტის გარეთ დარჩენა, რადგან ამომრჩეველთა ხმების შეგროვება დღეს უფრო გაძნელებულია, ვიდრე გალელეტილი ამომრჩეველებისგან 100-100 დოლარის აკრეფა.

და ყველა ისე ირავდა, როგორც სისხლში აქვს გამჯდარი. დავით უსუფაშვილი რომ დავით უსუფაშვილია, ეს დინჯი, აწონილ-დაწონილი კაცი, ისიც კი თანაგუნდელების დონეზე დავიდა და დაამტკიცა, რომ კუსა და მორიელის არავი ცნობილ სულხან-საბას ნატურიდან აქვს დაწერილი.

ერთი სიტყვით, კისელის ნაპირებია-ნი რძის მდინარეების შეპირებამ ისეთი უკიდევანო მასშტაბი შეიძინა და მსყიდვის სუნის დაიკრა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა ყველასთვის გამჭვირვალედ მიენიშნებინა, ცრუდამპირებებს კანონს ავაფარებთ შუბლზეო და მტრნაკლებად შეაჩერა ქარბორბალა.

ეს ნაბიჯი იმდენად ეფექტიანი აღმოჩნდა, რომ უკრაინიდან ყოფილი პრეზიდენტი გამოეხმაურა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

მანამდე ექსპრეზიდენტის ტელემონოდებას დიდი წარმატებით უჩვენებდნენ მიტინგზე შეკრებილ ხალხს, რომლის ერთ, ეგზალტირებულ ნაწილზეც ისე აღმგზნებად მოქმედებდა, როგორც ტორეადორის წითელი მოსასხამი ხარზე, ჰოდა, სააკაშვილი გააფრთხილეს, რომ საქართველოს კანონმდებლობით უცხო ქვეყნის მოქალაქეს (როგორც თვითონ ბრძანდება), საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება არა აქვს და ჯარშია ალუთქვის. ამან ჯერჯერობით გაჭრა საარჩევნო დივერსიების მხრივ. სამაგიეროდ, დიდი აღმოჩენა გააკეთა: **მოსალოდნელი დაჯარიმება ჩემთვის იმის უტყუარი ნიშანია, რომ „რუსმა ოლიგარქმა“ ბიძინა ივანიშვილმა იცის, რომ არჩევნები წაგებული აქვსო(!).**

აი ასე „ლოგიკურად“ მსჯელობენ ყოფილი პრეზიდენტიც და მისი იქაური თუ აქაური ემისიონიც.

მატარებელმა ჩაგრილა. და ახლა უკან გამოკიდება და ხმის ჩანყვეტამდე ღრიალი, გააჩერეთ, მაგაში უნდა ჩაგმჯდარიყავიო, ვერც მატარებელს გააჩერებს და მით უფრო, ვერც მოაბრუნებს. ეს მხოლოდ ნაცებმა კი არ უნდა შეიგნონ, არამედ სხვებმაც, რომლებიც, ზოგი გამიზნულად, ზოგიც მისდაუნებურად კვალდაკვალ მიჰყვება მატარებელსამომრჩენილ ნაცებს, ყვირილითაც იმავე ტონალობაში ყვირიან და ბაგაჟიც, კაცმა რომ თქვას, ზუსტად ისეთივე აქვთ ზურგზე მოგდებული.

ალეკო ასლანიშვილი

მაცდლები რევოლუციაში



სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა არ შეიძლება, უბრალოდ ეპატიოს ვინმეს, ჩაიკარგოს და მიფუჩქედეს

ლი ფეხით წითელ ხიდთან რიგი დაეკა-ვებინათ აზერბაიჯანის გზით გასაქცევად.

არც ახალმოჭრილი 20-თეთრიანივით ერთიანად, სახეთავკისურებთანად მზზზნავი ნიკანდრო (თუ ნიკანორ) მეილის გულში ჩამწვდომი, „ხალხოსნურ-რევოლუციური“ ლაქლაქისთვის უგდიათ ყური.

რაც შეეხება „ზედა ფენებს“, რომელთაც ლენინური დაკვირვებისამებრ „აღარ ძალუძთ ძველებურად მართვა“, აღმოჩნდა, რომ მშვენივრად ძალუძთ და მიუხედავად გარეგნული უნიათობისა, ძალიან კარგადაც ართმევენ თავს საქმეს. თუნდაც ის გავისხენით, თუ რა მშვიდად და აუღელვებლად მოიგერიეს კონსტიტუციური სასამართლოს მატლებიანი სარევოლუციო შემოტევა.

თუმცა ჩაშლილი ცდა როდი ნიშნავს, რომ ახალ შემოტევებს და აფეთქებებს არ უნდა ველოდეთ. პირიქით, სულ გაუცაცვიებული უნდა ვიყოთ, მაგრამ დარტყმა არა ისეთი დოღრიალა მხრიდანაა მოსალოდნელი, როგორც ახალი პარტიის – „სოცი-ალისტური საქართველოს“ ჩაშლილი თელავური ყრილობა იყო წითელი დროშებითა და სტალინ-ბერიას პორტრეტებით ან ბათუმური ნივილ-კვილი, არამედ სწორედ პაპუაშვილური ქვემდროული ვაინაჩრობით, ოღონდ უფრო „რესპექტაბელურად“.

წელან მოგახსენეთ: ნაცები ძალიან აგულიანებენ ამომრჩეველს, არიქა, მ ოქტომბერს უეჭველად ვიმარჯვებთ და გვერდით არ მოგვცილდეთო. განსაკუთრებით სამეგრელოს და აჭარის იმედი აქვთ.

ისე რომ, რევოლუციის მოწადინე და მეოცნებე ოპოზიციონერები ამოად დაშვრებიან – ამომრჩეველს ასე იოლად ვერ აცდუნებენ „სახალხო მრისხანებით“.

მაგრამ ამ ჭეშმარიტებას ვერა და ვერ იჯერებენ ჩასაფრებულნი, ბრალდები“. ჰოდა, არის დაპირებების კასკადი. მოუსაველეთიდან დაბრუნებულმა აჭარის გაქუცულმა ლომმა ლევან ვარშალომიძემ, სანამ მასზე საქმე არ აღიძრა ამომრჩეველების მოსყიდვის მცდელობის გამო (გაჭირვებულ უთავ შესაფრო მოსახლეობას სახლების აშენების დაპირებას ურიგებდა, ისევე როგორც მისი წინამორბედი ორო კილო ფტვილსა და შაქარს ურიგებდნენ), ენა არ გააჩერა.

* * *

რბ თქმა უნდა, დაპირებები ყველაზე არსებითს – პენსიას ეხება. ყველა ერთმანეთს ეჯიბრება, ვინ მტებს იტყვის და ამომრჩეველს მიიმხრობს.

სხვათა შორის, აქ ნაციონალური სხვებთან შედარებით „თავშეკავებულად“ ირჯებიან – „მხოლოდ“ 50 ლარის მომატებას გვპირდებიან.

სამაგიეროდ, ირავლი აღასანიამ, როგორც იტყვიან, აიშალა კუჭი – გააქანა და 300 ლარი დაახეთქა. 300 ლარამდე გავზრდით პენსიას, როგორც კი გავიმარჯვებთო... ოღონდ ეს დაპირებული სამას-ლარიანი პენსია ისევე შორი და საეჭვოა, როგორც თავისუფალი დემოკრატიების გამარჯვება.

უფალი - აღაპიანის უფლებათა დამრღვევი!

სასაცილო (მართლაც რომ სატირალზე სატირალი არ იყო!) აუიოტაჟია ატეხილი მთელს ჩვენს ბედვრულ სამშობლოში: თურმე, ნუ იტყვი და, დემოკრატია უმრავლესობის დიქტატურა კი არ ყოფილა უმცირესობაზე, არამედ - პირიქით!

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აუიოტაჟის მიზეზი ყოველად მარაზმულია: ოჯახი, როგორც ნებისმიერი ერის ქვაკუთხედი, მხოლოდ და მხოლოდ, მამაკაცი-სა და ქალის ერთობა კი არ ყოფილა, არამედ - მამაკაცისა და მამაკაცის, ასევე, ქალისა და ქალის!

ვინც ამ ბოლო ფორმულირებას შეენიანაღმდეგება, ის, თურმე, უმცირესობის უფლებების დამრღვევი ნამყოფარა!

არადა, მამა-ღმერთმა ადამი და ევა იმიტომ შექმნა, რათა „ხალხი“ გაჩენილიყო, ანუ მრევლი, რომელსაც ღმერთი უნდა ენამა! ღმერთმა, ამით, საკუთარი თავიც შექმნა! წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთისა და ადამის ამარა დარჩებოდა მის მიერვე შექმნილი მთელი სამყარო!..

ლიბერალისტების ჭკუით (მოთხოვნით), ღმერთს ადამი და ევა კი არა, ადამი და ადამი უნდა შეექმნა, ან ევა და ევა, და მხოლოდ მაშინ იქნებოდა ადამიანის უფლებათა ჭეშმარიტი დამცველი!..

კი მაგრამ, ადამიანები რომ აღარ იქნებოდნენ?! ხალხი, საზოგადოება რომ აღარ იქნებოდა?! ვიღას წინაშე დაინყებდით ქადაგებას პრესითა თუ ტელევიზიით შესახებ იმისა, რომ თქვენც ხალხნი ხართ და თავზე ნამუსის ქუდი გხურავთ?!

პარდონ, პედერასტებო და ლესბოსელებო! ძალიანაც რომ იმჭერმეტყველოთ, თქვენი მოთხოვნა „ვერ ლავეს!“

მოდით, კიდევ ერთხელ ჩაგვხედოთ „უცხო სიტყვათა ლექსიკონს“: დემოკრატია ძველბერძნულად ხალხი + ძალაუფლება ნიშნავს. ესაა საზოგადოების (და არა, მამაკაცისა და მამაკაცის, ან ქალისა და ქალის, შესაბამისად, ადამისა და ადამის, ევასი და ევასი!) სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მმართველობის ფორმა, რომელიც ეფუძნება ხალხის ძალაუფლების წყაროდ ცნობას, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას, მათი უფლებებისა და თავისუფლების დაცვას (მათ შორის, უმცირესობის უფლებების დაცვას უმრავლესობის მმართველობისას).

იქვე: ძირითადი გადანყვეტილებები ყველა მოქალაქის მიერ მიიღება კრებებზე ან რეფერენდუმებზე.

(უსლ, გვ, 224, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007 წ).

გული მიგრძობს, გაფაციცებული დემაგოგი ლიბერალისტები, ანუ მთლიანად რესპუბლიკური პარტია პარლამენტის სპიკერიანა და, ტაქტიკური მოსაზრებებით, „ნაცები“ და „თავისუფლები“ + ენჯელოთა აბსოლუტური უმრავლესობა, ფრჩხილებში ჩასმულ შენიშვნას ჩაებლაუჭებიან - „მათ შორის, უმცირესობის უფლებათა დაცვა უმრავლესობის მმართველობისას“.

დაშოშმინდით და ამოდ ნუ ყელყელობთ - თქვენი ზრახვების სასარგებლოდ ამ შენიშვნაში ნატამალიც არაა!

კი, ბატონო, უმცირესობას აქვს ძირითადი უფლება - არსებობის! უმცირესობას აქვს თავისუფლების უფლებაც! გქონდეთ მერე, ვინ გართმევთ?!



მაგრამ (დეკლარირების დროს აბზაცი, ხანდახან, „მაგრამითაც“ იწყება!) აქვს თუ არა მას (უმცირესობას) ხალხის (ანუ უმრავლესობის!) უფლებათა უარყოფის უფლება?

ახლა ვნახოთ, აქვს თუ არა ხალხს (ანუ უმრავლესობას!) რეფერენდუმზე გადანყვეტილების მიღების უფლება?

რიტორიკული კითხვაა, რასაკვირველი!.. აქვს რომელია! აქვს და ეგრე!..

და, საერთოდ, უფალი ლიბერალისტებო, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიმე პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტში წერია, რომ ნებისმიერ ადამიანს (ან ადამიანთა ჯგუფს) უფლება აქვს უარყო ხალხის (ანუ უმრავლესობის) გადანყვეტილება რეფერენდუმის ჩატარებაზე?

ამიტომაც გაუგებარი თქვენი უაზრო განიხილეთ: უმრავლესობას რომ მიგაჩნიათ საჭიროდ რეფერენდუმის ჩატარება ოჯახის ცნების საკითხზე (რომ ოჯახი არის მამაკაცისა და ქალის ერთობა!), ჩვენ არ მიგაჩნიათ, და, კაი ბიჭები ხართ, ჩაატარებთო!

ისე ჩავატარებთ, როგორც დაგიბარებია!..

და, საერთოდ, ბატონებო და ქალბატონებო! (ველარ გავრკვეულვარ, როგორ მოგმართოთ: ბატონებო და ბატონებო თუ ქალბატონებო და ქალბატონებო!), უნდა რომ თითო-ოროლა იყავით და ახლა ეპიდემიასავით მომრავლდით, ნუ ბუჭტურობთ და, თქვენი პრეზიდენტთანად ნუ მიედ-მოედებით ლობე-ყორეს, უტიფრად ნუ დემაგოგობთ, კაციშვილი არ არღვევს თქვენს მოქალაქეობრივ უფლებებს: იცხოვრეთ, ისწავლეთ, იმსახურეთ, აირჩიეთ და, თუ აგირჩევთ, არჩეულნიც იყავით ხელისუფლების განშტოებებში, მაგრამ ნუ გძლევეთ ცთუნება და ნუ გადახვალთ ზღვარს, რომლის იქითაც, სწორედ დემოკრატიის მოთხოვნით, ანუ კანონის შესაბამისად, სულ მცირე, იზოლირება და გველოდება!

ვიცი, ახლა ამაზეც ახტებით და დახტებით: ხედავთ? მწერალი და ჟურნალისტი კაცი რა აგრესიულად გვემუქრებაო!

მე - არა, კანონი!!!

ბოლოკუდა: ბრძენს უთქვამს: „რაც ღმერთს არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების!“

ღმერთს რომ სურვებოდა, ადამს ევას არ შეაქმნენებდა!

გიზო ზარნაძე

305 ისვრის ტალახს?

ეგ უკლა, უკლია და აბუსინისო...

დიდმა მამულიშვილმა და ქველმოქმედმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, ახლანაჲ ქართველ ერს კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი უძღვნა - ულტრათანამედროვე საკონცერტო დაბაზი ურეკთან ახლოს, შეგვეთილოს.

ორასი მილიონი ლირსო! მე მგონი ბევრჯერ ორას მილიონს აღემატება მისი ფასი. ეს განძი სახელმწიფოს სამუდამოდ დარჩება!

ადგა ჩვენი შალიკია, ლეიბორისტთა მამამძუძე, „დიდი“ ოპოზიციონერი და ბატონ ბიძინას ვილაც-ვილაც ამერიკელ სენატორებთან უჩივლა, ქართველ ბიზნესმენს ანგარიში გაუყინეთო.

ჰოდა, ბორჯომისხეობელი გლეხი, გვარად გლურჯიძე კარგი მეურნე, მე-ოჯახე, მომვარდა: ეგ კაცი ქართველობას დასცინის, მასხრად გვიგდება, გვაბრეყვებს, ნუთუ ასე დავეცი, ხმას რატომ არავინ იღებსო.

ნამდვილად საეჭვოდ გვაქვს საქმე, არა მგონია, ჩვენს გარდა, ნებისმიერი ქვეყანა, ასეთი პამპულა პოლიტიკოსი გააჭაჭანოს თავისთან.

არადა, უნდა ვაღიაროთ, დიდი ხნის წინათ, როცა ცხოვრება გაუსაძლისი გახდა, ერთხელ ლეიბორისტების ერთ-ერთ მიტინგში, მეგობრებთან ერთად მეც ვმონანილეობდი. სამწუხაროდ, იმ ხანად არც მიშა და არც შალვა არ ვიცოდით, რა ხილი იყო, მაშინ ქვეყანას ახალი სახე სჭირდებოდა, ძალიან გვიჭირდა, ავკაცებმა შემოგვაპარეს თავი.

საკვანთ ბიჭს, ქვეყნის მახარს, გვიან, მაგრამ ხომ გაუფეთ, ასე თუ ისე და გავაბუნძურეთ, ჭირი მოვაჭმევინეთ, მისი ურჩხულის კუდი კი იგრისება, შხამს ანთხევს, მაგრამ ეს სატანის ბოლო გაფართხუნებაა.

თუმცა აქ, სოფლად ჯერ ისე ჰყავთ ტვინგაყინული, გონებაშეზღუდული თითო ოროლა გაბრეყვებული.

აქ ერთ ასეთ ამბავსაც შევესწარი: ორი ახლობელი გლეხი ყანას თოხნიდა.

— ღმერთი არ გნამს, ეკლესია შენ არ იცი, ხატი და რჯული შენთვის არაა და ეგ მიშა რამ შეგაყვარა, რა გაგიკეთა, ასე ვინ დაგწყევლა! ბიძინას რომ ლანძღავ,



ის რომ არა, ქვეყანა არ გვექნებოდა. სოფელი გაანადგურა, დაგვიქცია იმ არაკაცმა. ეს ხელისუფლება კი, აგერ, მეოთხე წელია, გვეხმარება, გვაფინანსებს, წელში გაგვმართა. ქვეყანამ ამოისუნთქა, შეუბა მოგვცა. ეს სიკეთე რომ ვერ დაინახო, ბრმა უნდა იყო! გაცხარებულა ერთი, მოდი და გლეხი უძახე, სწორედ ასეთმა გულმართალმა, მშრომელ-

მა, მინისტვის ბარაქის მიმცემმა ადამიანებმა, მშობელი მინის გუთნისდედებმა მოიყვანეს საქართველო კიდევ ერთ ახალ საუკუნეში.

ის მეორე? შეაყარე კედელს ცერცვი! დავუბრუნდეთ ისევ ნათელაშვილს. დღეს მრავალი პარტია, ასე თუ ისე სოლიდურია, ბევრიც გათითოკაცებული და რომ იტყვიან, ღმერთს არ უქნია. მაგრამ ეს ლეიბორისტები გამორჩეულად სიცრუის დიდოსტატები არიან, მართალია, არც სხვები ჩამორჩებიან, მაგრამ მათ ცოტა ვინმე თუ შეედრება, აი, გუგავა რომაა, შალიკოს მარჯვენა ხელი. აბა დააკვირდით, გალიმებულს თუ ნახავთ? ერთთავად გაბრაზებული, დაბოღმილი, ვითომ ხალხის, ქვეყნის ბედით შენუხებულია, ჭორებს აფრქვევს, ძნელად რომ ვინმე შეეტოქოს. თანაც დიდოსტატურად ირგებს სიმართლისთვის მებრძოლის - საკუთარი შეფისავე ნიღაბს.

ლეიბორისტებს, სამწუხაროდ, ამოჩემებული ჰყავთ ბიძინა ივანიშვილი. ოღონდ შეურაცხყო, ჩირქი მოსცხონ! მაგრამ ეს ხომ იგივეა, მზეს ტალახი ესროლო.

ბატონი ბიძინა რომ დიდი მამულიშვილია, ამას ჩემი მტკიცება და ფიცი არ სჭირდება, იგი ერთადერთია და განუმეორებელი. საქართველოს განა ცოტა მილიონერი ჰყავს, საქართველოში, რუსეთში, ევროპაში, ამერიკაში? მაგრამ რომელმა მათგანმა გაიკრა ჯიბეზე ხელი, რომელმა შესწირა ქვეყანას მილიარდები? არაფერს ვამბობ იმ სასიცოცხლო რისკზე, რაც ბატონმა ბიძინამ გასწია!

დღეს ის, ვინც ბიძინას შეურაცხყოფს, მის მილიონობით მხარდამჭერს შეურაცხყოფს საქართველოს მტერი! მათ ტყუილად ჰგონიათ, რომ ამით ამომრჩევლებს მოიმრავლებენ. ეს ჩემმა ბორჯომისხეობელმა მეზობლებმა მითხრეს.

გივი ჯანსუა

თაა ნულუკიანი: ჰაბის გამოძიებაში, ჩვენი ინტერესია ქართველების უფლებების დაცვა

იუსტიციის მინისტრ თაა ნულუკიანის განცხადებით, ჰაბის გამოძიებაში, საქართველოს ინტერესია ქართველების ეთნიკური წმენდის დამტკიცება. მინისტრი იმედოვნებს, რომ საერთაშორისო სასამართლო აგვისტოს ომის გამოძიების პროცესში ქართული მხარის მტკიცებულებებს გაიზიარებს.

„საქართველოს მთავრობა თანამშრომლობს ფაქტუაზე უფრო ოფისთან იმ ორი მიმართულებით, რაც ჩვენთვის არის უმნიშვნელოვანესი და სახელმწიფო ინტერესის შემცველი. ეს არის ქართველების ეთნიკური წმენდა აგვისტოს ომის დროს, რომელზეც ძალიან ბევრი მტკიცებულება გვაქვს. იმედი მაქვს, რომ გამოძიება ჩვენს მტკიცებულებას გაიზიარებს. მეორე მიმართულება, ძირითადი, არის ჩვენი სამხედრო ტყვეების წამება და ზოგიერთი მათგანის მკვლელობა. სტრასბურგის სასამართლოშიც მიმდინარეობს პროცესი და ალბათ ძალიან მალე იქნება ზემოთი განხილვა, რადგან წერილობითი პროცედურები უკვე დასრულებულია“, - აღნიშნა თაა ნულუკიანმა.



სულ ახლახან, ქართული მედია გავრცედა საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმისიშვილის სამუშაო ვიზიტის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქშანხაიში, სადაც ის გაეცნო თავისუფალი ეკონომიკური ზონის მუშაობას. პრესა აღნიშნავდა, რომ შანხაი ჩინეთში პირველი თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონაა, რომლის ტერიტორია 120 კვ.კილომეტრს აღემატება.



ეკონომიკა ქონის კეთილდღეობას, ბინძური პოლიტიკა ანბრებს ქვეყანას!

**მარტოოდნე ჩინეთის მავალით ალფროთონანება
ქი არა, საქმე, საქმეა მთავარი!**



ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დროს განიხილეს შანხაის თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონის გამოცდილების გაზიარების, საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და სხვადასხვა პროფილის სანარმოების გადმოტანის შესაძლებლობები.

შანხაის თავისუფალი ზონის გამოცდილება მალე სხვა პროვინციებში და ქაქეებში აიტაცეს, რამაც დადებითად იმოქმედა ჩინეთის ეკონომიკის სწრაფ განვითარებაზე.

ინფორმაცია, რომელიც მედიაში გავრცელდა, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს სავაჭრო-ეკონომიკური თავისუფალი ზონების მუშაობა სულ ახლახან, ანუ 2-3 წლის წინათ დაიწყო და დღეს უკვე წარმატების ნაყოფს იძვს. თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩინური ისტორია გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და დღემდე ნაყოფიერად ვითარდება. მან ჩინეთის მთელი რიგი პროვინციები მოიცვა და ერთ დროს ჩამორჩენილ მხარეებს, თავისუფალი ეკონომიკური ზონების მიერ მოტანილი სიკეთეები აგება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემქმნელი სულაც არ არის ჩინეთი. მან ეს გამოცდილება დასავლეთიდან, ამერიკა-ევროპიდან გადაიღო, მაგრამ ჩინური პრაგმატიულობა შთაბერა, რამაც არა მარტო რომელიმე პროვინციას, რომელიმე ზონას მოუტანა წარმატება, არამედ მთელ ჩინეთს. განსაკუთრებული წინსვლა იგრძნობა შანხაიში, გუანდუნის პროვინციაში – კერძოდ ქალაქებში გუანჯოუ, შენჟენი, ჯუხაი და სხვა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩინურმა ვარიანტმა დიდი ინტერესი გამოიწვია დასავლეთში, იმ დასავლეთში, საიდანაც ჩინეთმა გადაიღო ეს წამოწყება და ახლა მან (დასავლეთში) დაიწყო ჩინურ მოდელზე დაფუძნებული თავისუფალი ზონების გამოცდილების დანერგვა. ერთი სიტყვით, მუყაითი მოსწავლე მასწავლებლად გადაიქცა. ჩინური გამოცდილება სხვა ქვეყნებშიც გაიზიარეს.

შენჯენის თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონამ და იქ მიღწეულმა თავბრუდამხვევმა წარმატებებმა გასული საუკუნის 90-იანი წლების ელექტრონულ-ბექ-ვიდით მედია დაიპყრეს. გასული საუკუნის 80-იანი წლების პატარა მეთევზეთა სოფლის (3000 მცხოვრები) გარდაქმნა თანამედროვე, 7-მილიონიან ქალაქ შენჯენად მართლაც საოცრება იყო!

თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსებობა მტკიცედ უკავშირდება სამეცნიერო კვლევებს, მეცნიერულ გათვლებს, პრაქტიკულ-თეორიული ცოდნა-გამოცდილების ერთმანეთთან შეჯერებას. თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობამ ასლან აბაშიძის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმჟამინდელი ხელმძღვანელის ყურადღება მიიპყრო და პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა საქართველოში, კერძოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მის დასაფუძნებლად.

საქართველოს პარლამენტში მყოფ აჭარის დეპუტატებს დაავალდაც მიეცათ თავისუფალი ზონის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით თბილისელი კოლეგები დაეინტერესებინათ. იყო მაშინდელ პრეზიდენტთან შევარდნაძესთან საუბარიც. ჩინეთში ოფიციალური ვიზიტის დროს პრეზიდენტი შევარდნაძე გაეცნო თავისუფალი-ეკონომიკური ზონას, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შევარდნაძემ გადანიშნა ჩინური გამოცდილების საქართველოში გადმოტანა, მაგრამ ...

ვიზიტის დროს ნანახმა დადებითმა ემოციებმა და აპარატის ანტიგონისტური განწყობით ცნობილი ჯგუფის წინააღმდეგობამ, არათუ თავისუფალი ეკონომიკური ზონა, არამედ საკუთარი თავიც დაავინა შევარდნაძეს. ე.წ. ეკონომი-

მისტები დაბეჯითებით უმტკიცებდნენ მას, თუ რას ნიშნავს თავისუფალი ეკონომიკური ზონა ბათუმის პორტის პატარა მონაკვეთზე – ოფშორულ ზონას, ფულის გათეთრებას, ყველა სამიწეობას, რასაც შქვია „შავი“ ფული და ა.შ. ზოგი „ეკონომისტი“ იმასაც ამბობდა – თავისუფალი სავაჭრო ზონა უკვე გვაქვსო (მათ თბილისის აეროპორტის „დიუტი ფრი“ ჰქონდათ მხედველობაში).

შევარდნაძეს დაავინა თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონა ე.წ. საქართველოს „კეთილმსურველებმა“, მაგრამ აბაშიძემ ვერა და ვერ დაივიწყა ჩინური „საშინელება“. და რომ მას (პროექტს) აჭარაში ფრთები შესხმოდა, გადანიშნა ჩინეთის სწვოდა.

საქართველოში ჩინეთის საელჩოს დახმარებით შევიმუშავეთ ვიზიტის პროგრამა, ცხადია გუანდუნის პროვინციის მონახულებით. გავეცანი თავისუფალი-ეკონომიკური ზონების ქალაქებს გუანჯოუს, შენჯენს, ჯუხაის, რამაც უდავოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. გუანჯოუს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს გადანიშნა თავისუფალი ეკონომიკური ზონის მეცნიერ-სპეციალისტების მონვევა აჭარაში და კანონპროექტის შემუშავება.

ჩინელი სპეციალისტები, ჩვენი ვიზიტის დამთავრების შემდეგ, ორი კვირის თავზე ჩამოვიდნენ აჭარაში და დავიწყეთ მათთან ერთად კანონპროექტზე მუშაობა. კანონპროექტი არა მარტო აჭარისთვის იყო გამიზნული, არამედ მთელი საქართველოსთვის.

2002 წლის შემოდგომის სესიაზე პროექტი გავიტანეთ პარლამენტის სხდომაზე. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც საკუთარი თვალთ ნანახიც არ ჰქონდათ თავისუფალი ეკონომიკური ზონა, დაბეჯითე-

ბით ამტკიცებდნენ ზონების მიუღებლობას საქართველოსთვის, რასაც „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო უმრავლესობაც იზიარებდა. საბოლოო ჯამში, კანონპროექტი ჩავარდა – როგორც ყოველთვის, პოლიტიკამ სძლია ეკონომიკას. არადა, კანონპროექტი რომ პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ყოფილიყო ინიცირებული, უდავოდ გავიდოდა, მაშინ აღმასრულებლებიც და კანონმდებლებიც ერთსულოვანი იქნებოდნენ პროექტის კანონად გადასატყვევად.

ჩინელი სპეციალისტები, რომლებსაც კანონის ჩავარდნა შევატყობინეთ, გაოცებული დარჩნენ. ისინი არ მოელოდნენ უარყოფით შედეგს, რამეთუ უარი ნიშნავდა მაზოხისტურ გადანიშნულებას. ჩინელი სპეციალისტები მზად იყვნენ პრაქტიკული მოქმედებების დასაწყებად – ჯერ აჭარაში, შემდეგ მთელს საქართველოში.

2002 წლიდან (რომ აღარფერი ვთქვათ 1996 წელზე – საქართველოს პარლამენტში თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხის დასმაზე) 14 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ჩინეთი არაერთხელ სახელმწიფო დელეგაციამ მოინახულა. დელეგაციის ყველა წევრზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თანამედროვე ჩინეთი, მისი ეკონომიკური წინსვლა, რაც გარკვეულწილად სწორედ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას უკავშირდება. ალფროთონანდებით, ისე, როგორც ქუმისიშვილი, ჩამოვალთ და უმალ ვივინყებთ ნანახს.

14 წელიწადი განა საკმარისი დრო არ იყო თავისუფალი ზონის შესაქმნელად?! არც ერთი სახელმწიფო ვიზიტი არ უნდა ყოფილიყო რაღაცის მომტანი?! მაგრამ როდესაც ვიზიტი-ვიზიტისთვის ხორციელდება და არა პრაქტიკული საქმისთვის – იმ ქვეყანას არაფერი ეშველება.

საქართველოს ხელისუფლებამ იქ უნდა იაროს, სადაც რაღაცას ისწავლის და საკუთარ ქვეყანაში გადმოიტანს, მაგრამ მსგავსი დამოკიდებულება საქმისადმი არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია, რასაც ვერ ვიტყვით ჩინეთზე. 1979 წელს ჩინეთის ლიდერმა დენ სიაოპინმა ბრძანა: „არ აქვს მნიშვნელობა რა ფერის არის კატა, მთავარია თავგვებს იჭერდეს“, რაც აიტაცა პრაგმატიულობა ჩინელმა და თითუე ჩამოსათვლელ წლებში ჩამორჩენილი ქვეყანა, პირველ სახელმწიფოდ გადააქცია.

ერთ-ერთ წინა წერილში ვწერდი ჩინური სახელმწიფოს შესახებ – იმ აღმშენებლობაზე, რასაც ჩინეთში აქვს ადგილი, მაგრამ ჩინეთი მარტო შინ არ აშენებს. ის რა ხანია მთელს მსოფლიოს არის მოდებული. 2014 წლამდე ჩინეთი სწრაფი ტემპით შენდებოდა. რად ღირს თუნდაც მსოფლიოში ყველაზე სწრაფი და გრძელი რკინიგზა, საავტომობილო გზები, ყველაზე დიდი კაშხლები და გრძელი ხიდები, აეროპორტები, რკინიგზის სადგურები. ჩინეთმა მოსახლეობა თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დარგში გაასამაგა. მან შექმნა საშუალო ფენა. ამჯერად ჩინეთი ასრულებს მისი ლიდერის სი ძინიანის მიერ დასახულ გეგმას – მთელი მსოფლიოს ათვისებას.

ჩინეთში, ყოველი 10 წლის შემდეგ, ხდება ხელმძღვანელობის ცვლა. მოდის ქვეყნის ახალი მეთაური, პრემიერ-მინისტრი, სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს თავმჯდომარე (პარლამენტი), მინისტრები, ... ახალ-მოსული მეთაური და მისი გუნდი აცხადებს ქვეყნის განვითარების ახალ გეგმას.


ასე დაიბადნენ ჩინური მეგაპროექტები, მათ შორის „ახალი აბრეშუქის გზა“. მიზანი – გამოეყენებინათ არასათანადოდ რეალიზებული, ჩინეთში არსებული, ფინანსურ-წარმოებლური სიმძლავრეები. აქედან გამომდინარე, ჩინეთი ზრდის უცხოეთში ინვესტიციებს 744 მილიარდი დოლარიდან 2 ტრილიონ დოლარამდე 2020 წლისთვის. გასულ წელს 18 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელა ჩინეთმა ევროკავშირში – ერთობლივმა ტვირთბრუნვამ 615 მილიარდი დოლარს გადააჭარბა.

ჩინეთი ახორციელებს აფრიკაში აეროპორტების, რკინიგზების და სავაჭრო-მობილ გზების მშენებლობას, რათა ერთმანეთთან დააკავშიროს აფრიკის 54 სახელმწიფო. აფრიკის მიმართულებით ჩინეთს 2000 პროექტი აქვს შემუშავებული – სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, სამოქმედო გეგმების დარგების გასავითარებლად.

ჩინეთმა დაიწყო პირველი სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა უცხოეთში, კერძოდ ჯიბუტში, ბაბ-ელ-მანდების სრუტესთან, ნიოთელი ზღვის შესასვლელში. ეს გზა არის მთავარი მატრანსპორტ გზა ნავთობის ტანკერების, საკონტინერო გადაზიდვებისთვის, ინდოეთის ოკეანიდან ევროპისკენ.

ჩინეთი არის მთავარი ნიკარაგუის არხის მშენებლობაში, რომლითაც მოხდება ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების დაკავშირება. მისი სიგრძე 250 კილომეტრი იქნება, სიღრმე – 27 მეტრი, სიგანე – 226-530 მეტრი. არხის გახსნის შემდეგ მასზე მოვა არსებული მსოფლიო საზღვაო გადაზიდვების 3,9%. მშენებლობა 40 მილიარდი დოლარი დაჯდება.

ეს მაგალითები მიგვანიშნებს ჩინეთის როლზე მსოფლიოში, მის სიძლიერესა და პრაგმატიზმზე. თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონების პროექტზე მომუშავე ჩინელი სპეციალისტები იმედს გამოთქვამდნენ, რომ კანონის მიღების შემდეგ მათ ექნებოდათ შესაძლებლობა ფართო, მრავალმხრივი საქმიანობა გაეწაღებინათ აჭარასა და მთლიანად საქართველოში დაფუძნებულ თავისუფალ-ეკონომიკურ ზონებში. ეს რომ განხორციელებულიყო, საქართველოში დღეს სულ სხვა ვითარება იქნებოდა, მაგრამ იმჟამინდელმა საქართველოს პარლამენტმა პროექტი ჩააგდო, ცხადია, შიდა პოლიტიკური და პირისპირების და უგუნდურობის გამო. თუ ვინ დარჩა დაზარალებული, „საქართველოს რესპუბლიკის“ გონიერმა მკითხველმა განსაზღვროს.



ჰამლეტ შივაშვილი,
პოლიტოლოგი.



თელავის ცენტრი ერეკლეს ქანდაკებით



თელავის კვირიკის სიხის გალავანი

კინისსეპიდან შუამთისკენ მიმავალი კურდღელაურში თუ არ გადაუხვევ, მერე ეს სოფელი გვერდზე დაგრჩება და სამ ძეგლს უნახავს დატოვებ... ორი მათგანი ეკლესიაა, ერთი კი მარანი.

კურდღელაურის ყველაზე ძველი საყდარი სოფლიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 1,5 კმ-ზე ნასოფლარ ფოხორაულების მოშვლებულ მინდორში დგას და, როგორც ყველა მითოვებულ უსახელო ეკლესიას, ხალხმა მასაც „ყვავის საყდარი“ შეარქვა. ეს არის კახეთისათვის ტრადიციული შუკლე-სიანი ბაზილიკა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, კარგად შერჩეული რიყის დიდი და მცირე ქვებითაა აშენებული. დიდი ქვები კედლის ქვედა რეგისტრებში და კუთხეებშია გამოყენებული. ქვათა ნყოფა ყველგან რიტმული და თარაზულია. ბაზილიკა საშუალო ზომისაა (8,3X7,2 მ.) და VI საუკუნით თარიღდება, თუმცა, VIII-IX საუკუნეების გადაკეთების კვალიც ეტყობა.

ტაძარს 4 შესასვლელი ჰქონია (დასავლეთიდან – ორი, ხოლო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან – თითო-თითო). სამხრეთისა და ჩრდილოეთის შესასვლელი 2-2-თაღიან კარიბჭეებს წარმოადგენს, დასავლეთის შესასვლელი კი, რომლებიც მოგვიანებით ამოუშენებიათ, ჩვეულებრივი ყოფილა. როგორც ცენტრალური, ისე გვერდითი ეკლესიების საკურთხეველის აბსიდები, ასევე ეკლესიათა დამაკავშირებელი თითო-თითო კარის თაღი ნალისებრი მოყვანილობისაა. ძეგლი რომ VI საუკუნისაა და VIII-IX საუკუნეებშია აღდგენილი, ეს არქეოლოგიურმა გათხრებამაც ცხადყო – ცენტრალური ეკლესიის საკურთხეველში, მინის ზედაპირიდან 40 სმ-ის სიღრმეში, გაცილებით ძველი იატაკი აღმოჩნდა. მიკვლეულია სხვა საინტერესო მასალაც: მინის სამაჯური, პასტის ცისფერი მძივები, მოჭიქული და ჩვეულებრივი კერამიკის ჭურჭელი. ძალიან საინტერესოა ორმოცამდე ლავგარდანის ფრაგმენტი. სპეციალურ ფორმებში ჩამოსხმული და ნითლად გამომწვარი თიხის ლავგარდანს აქვს ჯვრები, ასომთავრული წარწერა („ქრისტე, შეიწყალე ეკოლი“) და თითის საგანგებო ანაბეჭდი. წარწერა IX საუკუნისაა, სამარხებში ნაპოვნი ინვენტარი კი IX-XII საუკუნეებისა. დიდი ალბათობით, ეს ქალთა მონასტერი უნდა ყოფილიყო. გასული საუკუნის 70-იან წლებში ტაძარი აღდგა...

ჩემს წერილებში ვინ იცის, მერამდენედ მიწვეს იმის აღნიშვნა, რომ ეს ეპოქა კახეთში დამოუკიდებელი სამთავროს ჩამოყალიბებით და ქრისტიანული ტაძრების მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბით გამოირჩევა. როგორც ირკვევა, ე. წ. „ყვავის საყდრის“ ხელახალი აშენების პარალელურად, VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე, ამჟამინდელი კურდღელაურის ტერიტორიაზე მცირე, უფრო დიდი, ლეთისმშობლის სამნავიანი ბაზილიკა (15,6X10,1 მ.) აუგიათ. 2010 წელს სოფლის მკვიდრი დათიაშვილების თაოსნობით ლეთისმშობლის ეს ეკლესია კარგად აღუდგენიათ, შემოუსაზღვრავთ და ეზოც გაულაზმებიათ.

ტაძარი სამ ნავად 3 წყვილი სვეტითა და თალითაა დანაწევრებული, რაც ტრადიციული ბაზილიკების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია. მოგვიანებით შიდა გეგმარებაში ცვლილება შეუტანიათ: მთავარი საკურთხეველი აბსიდიდან პირველი წყვილი სვეტების ჰორიზონტალამდე წამოშენვითა და გვერდითი ნაგებობა ამავე ნიშნულზე გადაუტანეს. აქ საღვთისმშობლის სახელობის მონასტერი მოუწყოთ. ერთი სიტყვით, დარბაზული სივრცის შემცირების ხარჯზე, სამედელ-მსახურო არეალი გაუზრდიათ. ტაძარი მოქმედა.

სოფლის ცენტრში სრულადაა შემო-

თელავის სამეფოპოლო

შუამთის ქვეყანა



თელავის „ღვთაება“



ნახული ორკოდაშვილების XVI საუკუნის მარნიანი, მაგრამ შიგ არ შეისვლება – მთელი ფართი საბაკ-ზუბაკითაა ჩახერგილი, ქვევრები მოუვლელია, ხოლო სახურავის ძეგლები – დამპალი. მარანი რიყის ქვითა და აგურითაა აგებული. მცირეოდენი აღდგენა-შეკეთების შემდეგ, იგი თავისუფლად შეიძლება შევიდეს ტურისტულ მარშრუტში.

კურდღელაური თუ ჩრდილოეთიდან საზღვრავს თელავს, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მას ორი სხვა სოფელი – შალაური და ვარდისუბანი აკრავს.

ტოპონიმ შალაურის ზუსტი დადგენა იმის გამო ძნელდება, რომ მას „შალ“ ფუძის უამრავი სიტყვა შეიძლება დაეკავშიროს. ასევე გასათვალისწინებელია მისი სიახლოვე კახეთის მეორე ტოპონიმ „ჩალაურთან“... ალაზნის მარჯვენა სანაპიროს უმეტესი სოფლების მსგავსად, შალაურიც სამხრეთის მიმართულებით ვრცელდება და ცივ-გომბორის კალთებს ითვისებს. საბჭოთა პერიოდში აქ, დღისა და ღამის სკოლებთან, საბავშვო ბაღთან და კულტურის სახლთან ერთად, ორი ბიბლიოთეკა მუშაობდა, ეს კი ნათლად მიგვანიშნებს იმდროინდელი დასახლების მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე. მაგრამ შალაური გაცილებით ძველი ისტორიითაა ამაყობს. აქ სხვადასხვა ეპოქის 8 ეკლესიაა. ამათგან ორი – „ფიჭვიანის საყდარი“ და „სვეტიცხოველი“, გარდა იმისა, რომ ადრეუ-

საუკუნეებისაა, პროექტირების თვალსაზრისითაც გამოირჩევა.

„ფიჭვიანის საყდარი“ (VII-VIII სს.), სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 3 კილომეტრში დგას ტყეში და ძალიან არის დანგრეული. ასე თუ ისე გადარჩენილია აღმოსავლეთის კედელი, სხვა მხარეები კი 1,5 მ-ის დონემდეა ჩამოშლილი. გეგმარებით ეს ტაძარი 2-ეკლესიანი საყდარია. ორთავე ეკლესია, როგორც ცენტრალური, ისე გვერდითი, ნალისებრი აბსიდების მქონე საკურთხეველებით სრულდება. ეს ეკლესიები (დარბაზები) ერთმანეთთან სამხრეთისა და დასავლეთის გარშემოსავლელი დერეფნებითაა დაკავშირებული. სარკმლები განიერია, ხოლო შესასვლელი – არა მხოლოდ განიერი, არამედ ნალისებრ-თაღოვანი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა, თუმცა, აქა-იქ შირიმითაა გამოვსული.

ფიჭვიანის საყდრიდან დასავლეთით დგას 1990 წელს რესტავრირებული „სვეტიცხოველი“ – ასევე VII-VIII საუკუნეების ძეგლი, რომელიც რიყიდან ამოზიდული ლოდებითაა აგებული. მოცულობით სვეტიცხოველი ფიჭვიანის საყდარზე მცირეა (9X6,75 მ), მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა. იგი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ორნავიანი ეკლესიაა. ცენტრალური ნავი ნალისებრი აბსიდის საკურთხეველითაა დაგვირგვინებული, ჩრდილოეთის ნავი კი თითქოსდა იზოლირებული უაბსიდო მცირე სამლოცველოთი.



შალაურის „სვეტიცხოველი“



კურდღელაურის „ღვთისმშობალი“

...თელავში შევდივართ. დიდი, უძველესი ისტორიის მქონე ქალაქებზე წერას ყოველთვის გავუზრდებარ, რადგან საამისოდ ვერც ერთი და ორი საგაზეთო გვერდი მეყოფა და ვერც ახალს ვიტყვი რამეს. ყველაფერი ნანახი, გამოკვლეული, ნათქვამი და დაწერილია. და მაინც, მოგზაურობისას მთლად ვერ დავხუჭავ თვალს. ზოგი რამ მაინც უნდა ითქვას. ამიტომ მკითხველს შევასხენებ, რომ თელავი თბილისზე ძველია. მას ჯერ კიდევ II საუკუნის ბერძენი გეოგრაფი პტოლემეოსის იცნობდა „თელადას“ სახელით. ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის გაჭიმულ სავაჭრო გზაზე თელავი ქარავანთა გასაჩერებელი მნიშვნელოვანი სადგური ყოფილა. თელავი (თებლა) X საუკუნის არაბი გეოგრაფოსის აღმუყადასის თხზულებაში აყვავებულ ქალაქადაა მოხსენიებული. დღეს იგი განსაკუთრებით მდიდარია გვიანი შუასაუკუნეებისა და XIX საუკუნის ქრისტიანული თუ საერო ხუროთმოძღვრების ძეგლებით. მათი გვირგვინი „ბატონის სასახლეა“, მაგრამ მე უფრო ძველი ნაგებობების სანახავად მივიჩქარო.

პირველი მათგანი თელავის ცენტრში ღვთაების ნამოსახლარ გორაზე მდგარი VI საუკუნის ბაზილიკა „ღვთაებაა“. ეს ის საყდარია, რომელშიც, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ერეკლე II-ის ცხედარი გადაასვენეს სამეფო პალატებიდან, „ვინაიდან მუნით უმარჯვეს იყო წასვენება მცხეთად“.

საყდარი სამნავიანი ტაძრების ადრინდელ ჯგუფს განეკუთვნება. იგი ნაგებია რიყის კარგად შერჩეული ქვით, მაგრამ მრავალჯერა აღდგენილი. ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით, XVI ს-ში იგი ბეჟან ყორჩიბაშის მიერ იქნა რესტავრირებული, ბოლოს კი ჩვენს დროში განახლდა. დღეს ეს ეკლესია მოქმედა და ალავერდის ეპარქიის ერთ-ერთი საკათედრო ტაძარია. ბაზილიკა სიგრძეში 22,3 მ-ია, სიგანეში კი 11,7 მ. ბოლნისის, ურბნისისა და კანარეთის სამნავიან ბაზილიკებს იგი განსაკუთრებით სიგანეში ჩამორჩება, რისი უმთავრესი მიზეზი განაპირა ნაგებობის სივრცოვანაა. ამასთანავე, „ღვთაებას“ არა აქვს მინაშენები.

ასეთი ადრეული პერიოდის ეკლესია იმაზე მიგვანიშნებს, რომ თელავი მიკროქვეყნის ცენტრი იყო არა მარტო ანტიკურ ხანაში, არამედ მას მერეც. ხოლო XI საუკუნიდან კახეთის სამთავროს, შემდეგ კი კახეთ-ჰერეთის სამეფოს ცენტრიც გახდა. მან ბოჭორმა შეცვალა, რაც პერეტიკენ ლტოლვის და 1014 წელს მისი შემოერთების გამო მოხდა.

ყადორის ბორცვზე – ქალაქის ყველაზე ძველ და მჭიდროდ დასახლებულ უბანში – დღემდეა შემონახული X-XI საუკუნეების ციხე-დარბაზის გალავნის დიდი ნაწილი. შემოზღუდული ეზო სიგრძეში დაახლოებით 100 მ-ია, სიგანეში კი თანდათან იზრდება და თუ დასაწყისში 36 მ-ია, აღმოსავლეთ ბოლოში 60 მეტრს აღწევს. იმის გამო, რომ მოედანი ჩრდილოეთითაა დაქანებული, ამ მხარეს გალავანი რამდენადმე მაღალია. ამიტომ, მისი კედლები მოკლე-მოკლე დისტანციებზე გოდოლებითაა გამაგრებული. სასახლე ნანგრევების დონეზეც კი არ არის შემორჩენილი, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ის, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებთან ერთად, გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იყო ჩართული. აქედან სასახლე ალაზნის ველს გასცქეროდა.

სავარაუდოდ, ეს ციხე-დარბაზი კვირიკე დიდის მამის, დავით ქორეპისკოპოსის (არევე-მანელის) აგებული უნდა იყოს. ბუნებრივია, კვირიკე მას კიდევ უფრო განამტკიცებდა.

...თელავიდან თურდოსხევისკენ მივეშურებით.

გელა ქოძიაშვილი. ავტორის ფოტო.

ჩემი აბრაჰამი სტალინი დასვენების დღეებს სახელმწიფო აგარაკზე სოჭში?

„ზამთარ“: — არტემ ფეოდოროვიჩი, როგორ ატარებდა სტალინი დასვენების დღეებს სახელმწიფო აგარაკზე სოჭში?

ს.ს. — სოჭში ის აგარაკი 1933 წელს აშენდა არქიტექტორ მერჟანოვის პროექტით. ეს ის მერჟანოვია, ვოლინსკის აგარაკი ვისი დამპროექტებულიცაა. მაცესტაში ადგილი აგარაკისთვის იმიტომ შეირჩა, რომ იქ სახსრების სამკურნალოდ წყლები იყო და სტალინი იქ დასასვენებლად კი არა, რევმატიზმის სამკურნალოდ ჩადიოდა. სამკურნალოდ წყლებზე თავიდან მანქანით მიდიოდა, მაგრამ მერე აგარაკზე ტუმბო დადგეს. გაიყვანეს მილი სახლამდე, ისე რომ იქ პატარა აუზი, ანუ უფრო სწორად დიდი აბაზანა გამოვიდა და ამის შემდეგ მას უკვე აღარ უნევდა აბაზანების მისაღებად მაცესტაში წასვლა და დიდი ხნით სამუშაოდან მოწყვეტა. კურორტი რომ კეთდებოდა, იქაურობა ჯერ კიდევ მოუწყობელი იყო. დედაჩემს აქვს ნაღვე და სერგეევნას მიერ 1925-1930 წლებში სოჭიდან გამოგზავნილი ბევრი წერილი, სადაც წერია — ეს ადგილი, მართალია, ნესტიანი და ჭაობიანია, თითქმის სულ წვიმს, მაგრამ არის სამკურნალო წყალი მაცესტა, რაც ძალიან საჭიროა... ვფიქრობ, იოსებ ბესარიონის ძეს უშველია იქ მკურნალობამ, ასე რომ არ იყოს, არ ივლიდა აქ ყოველ წელიწადს 1920 წლიდან... ვიდრე ეს აგარაკი აშენდებოდა, სტალინი მანამდე რევოლუციამდე აგარაკებზე ცხოვრობდა.

ახალი აგარაკი იქაური ფერების მიხედვით მწვანედ იყო შეღებილი — საერთოდაც ღია ფერები სტალინს არ უყვარდა — სახლი სიგრძით დაახლოებით ცხრა მეტრი იყო, ცხრა მეტრი იყო სიგანითაც. იდგა პატარა გორაკზე, შემადღებულ ადგილას.

ზღვის მხარეს შესასვლელიდან ტერასასა და შუშაბანდამდე დერეფანი იყო. ეს დერეფანი სახლს შუასასვლელიდან უკანა კედლამდე გასდევდა. იმის იქით იყო ტუალეტი, მეორე სართულზე ასასვლელი კიბე და პატარა დამხმარე ოთახი, ხოლო მარცხნივ რაღაც პატარა საკუჭნაოსმაგვარი. ამის შემდეგ იყო კიდევ ერთი ოთახი სტუმრებისთვის, რომლის კარი პირდაპირ ვერანდაზე გადიოდა. მეორე სართულზე ზღვისკენ პირშებრუნებული თუ დადგებოდი, ნახავდი, რომ მარჯვნივ ორი ოთახი და ტუალეტი იყო, მარცხნივ საკუჭნაო... მეორე სართულზე სტალინი ცხოვრობდა და კიროვი რომ ჩამოვიდოდა, იმასაც იმ სართულზე ეძინა.

აგარაკიდან ზღვისკენ კილომეტრნახევრის სიშორის მანძილზე მდებარეობდა გზა მიემართებოდა, გზა ზღვის კენჭებით იყო მოფენილი.

ოდნავ მოშორებით ცალკე იდგა პატარა სახლი დაცვისთვის. აგარაკის ტერიტორიაზე დაცვა მცირე რაოდენობით იყო, დაცვის ორ წევრზე მეტს ერთად იშვიათად თუ ნახავდი. ტერიტორიას ირგვლივ ძალიან მაღალი, მაგრამ, არცთუ მჭიდრო, თამახებიანი მესერი ჰქონდა შემორტყმული. მსუბუქი ჭიშკარი პრიმორსკის გზატკეცილზე გადიოდა. გადაჭრიდი ამ გზატკეცილს და უკვე სანაპიროზე იყავი.

სტალინი ზღვაში არ შედიოდა, არ ბანაობდა. როგორც წესი, ზღვაში ბანაობა არ უყვარდა. სამაგიეროდ კიროვის ძალიან უყვარდა ზღვა და ძალიან კარგადაც ცურავდა მხარულით. საბანაოდ ის თითქმის ყოველდღე დადიოდა, სტალინი კი მიაცილებდა ზღვამდე, დაჯდებოდა ზღვის პირას და დაელოდებოდა ცურვას როდის მორჩებოდა.

სოჭში აგარაკი სახელმწიფო აგარაკი იყო. იოსებ ბესარიონის ძეს კერძო საკუთრების მსგავსი არასოდეს არაფერი ჰქონია. ჰქონდა მხოლოდ ინგლისელი მუშების მიერ ნაჩუქარი თოფი, რომლისთვისაც ტყვიებს თვითონ ყიდულობდა. ჰქონდა კიდევ თურქმენი ფეიქარი ქალების მიერ მოძღვნილი საშუალო ზომის ხალიჩა, რომელზეც ლენინი იყო გამოსახული.

სტალინს ქალაქობანას თამაში უყვარდა და აგარაკებზე ქალაქობანას სათამაშო მოედანს ყველგან ნახავდით. ასეთი მოედანი სოჭში აგარაკის ზემოთ მომალე ადგილას იყო. სტალინი იქ კიროვთან და ბუდიონთან ერთად დადიოდა. სამივეს ძალიან უყვარდა ეს თამაში, რომელიც შესანიშნავი მოთელვაც იყო და საკუთარი თავის შემონეშება — მხედველობა ხომ არ დააკლდა, ხელებში ძალა ხომ არ გამოეღია. თითოეულს თამაშის სტილი ჰქონდა — სტალინი გააზრებულად თამაშობდა, მოზომილად და მარჯვედ, დარტყმისას ძალას ზოგავდა. კიროვი ცოტა უფრო ძლიერი იყო. ბუდიონი ისე ურტყამდა, დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, მისაკდებოდა ჩილიკა ლობებს და გახვრეტდა — ხელი პირდაპირ რკინის ჰქონდა.

თამაშის დროს თან საუბრობდნენ, რაღაც საინტერესოსა და კონკრეტულზე, მსჯელობდნენ. არც ერთმანეთს ინდობდნენ — ამან ისე ვერ დარტყვა, ამის დარტყმა ასეთია, იმის დარტყმა ისეთია, ამან ჩილიკა ძალიან შორს ისროლა, იმის მიერ ნასროლმა ნახევრამდე ვერ



მარცხნიდან მარჯვნივ ს. ჩხუტაძე (სამიწკოს წარმომადგენელი), ვ. რუმიანსკი (დასვის სამსახური), ვასილი სტალინი, არტემ სარგაძე, ნ. სოლოვიოვი (სტალინის მძღოლი) და სვებლანა სტალინა. სოჭი. სახელმწიფო აგარაკი. 1934 წ.

უსწორი ბენერაქლისი...

სტალინი. პირადი ცხოვრება



არტემ სარგაძის მოგონებები

ვ. გლუშკინა და მ. სტრეკოვა ასალაპის მისაღებით გააერთიანა „ზამთარ“

მიადნია... იცინოდნენ, ხუმრობდნენ, არ იშურებდნენ არც ირონიულ კომენტარებს... მათი ხუმრობა ცხარე და მახვილგონივრული იყო, ხოლო იუმორი და ირონია ყოველთვის კონკრეტული ფაქტის ან ადამიანისკენ იყო მიმართული... მერე გაახსენდებოდა რაღაცა და ახლა იმაზე გადაერთვებოდნენ, ისე რომ მათი თამაში მარტო გართობა და ვარჯიში კი არა, საქმეც იყო.

აგარაკზე ყოველთვის საბილიარდოსაც ნახავდით. სტალინი შესანიშნავად თამაშობდა ბილიარდს. ერთხელაც ეთამაშა კალინინს და პირწმინდად მოუგო. კალინინი ვითომ ძალიან აღშფოთდა, მიუთითებდა თავის დაბალ სოციალურ წარმომავლობაზე, წესიერი მასპინძელი, მაღალი არისტოკრატიული აღზრდის ადამიანი სტუმარს რომ დაპატიჟებს, უნდა წააგოს, შენ კი



არტემ სარგაძე და ვასილი სტალინი მასალაპისათვის კატარაზე.

(სტალინს ის ყოველთვის შენობით მიმართავდა), აი, ხედავ როგორ მოიქცევი?!

კალინინი გამორჩეული ადამიანი იყო, უმაღლესი კლასის ზეინკალი და გლეხობის საქმის საუკეთესო სპეციალისტი. სტალინს უყვარდა და პატივს სცემდა არა მხოლოდ ჭკუისა და ერთგულებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ მან უდიდეს წარმატებებს მიაღწია, დაიმსახურა უმაღლესი შეფასება, როგორც გლეხობის, ისე მუშებთან დაკავშირებულ საქმიანობაში... სტალინი პატივს სცემდა და აფასებდა ყველა ჭკვიან, წარმატებულ ადამიანს, რა დარგშიც არ უნდა ყოფილიყო, იქნებოდა ეს ხელგონება და კულტურა, მეცნიერება თუ ფიზიკური შრომა... განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდა ფიზიკურ შრომას.

* * *

სტალინი და კიროვი პროფესორ შესტაკოვის რედაქტორობით 1945-1946 წლებში გამოსულ საბჭოთა კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ. მე და ვასილის დაგვავალეს, ნაგვევითხა ილოვანისა და ბელიამინოვის ძველი მსოფლიოს ისტორიის წიგნი და კითხვებზე პასუხი გაგვეცა. ვიდრე კიროვი ჩამოვიდოდა, თავისუფალი დრო ჯერჯერობით საკმაოდ გვექონდა, მისი ჩამოსვლის შემდეგ კი ისიც აღარ გვახსოვდა, იქვე გვერდით ზღვა რომ იყო. წიგნი ძალიან ძველი და ალბათ უამრავი მკითხველის ხელში იყო გამოვლილი. სტალინმა ის წიგნი რომ მოგვცა, იმ დღე ტერასაზე დავდეთ, სადაც მე და ვასილი ვცხოვრობდით და ორივე მუშობელ აგარაკზე ფრენბურთის სათამაშოდ გავიქეციით. უკან რომ დავბრუნდით, იმ გორაკზე, სადაც აგარაკი იყო, შორიდანვე რაღაც თეთრი ლაქა დავინახეთ — ვხედავთ, სტალინი იხრება და მიწიდან რაღაცას კრებს... მაშინვე მისკენ გავიქეციით... როგორც აღმოჩნდა, თურმე ამოვარდა ქარი და ამ ძველი სახელმძღვანელოს ფურცლები აქეთ-იქით მიმოფანტა. სტალინი სწორედ მიწაზე გაბნეულ იმ თეთრ ფურცლებს აგროვებდა.

ჩვენ რომ დავგინახა — იცით კი ამ წიგნებში რა წერიაო! — თქვა ჩვენი მისამართით ძალიან სერიოზულად და მკაცრად. თუმცა, მალევე დამშვიდადა და მშვიდად აგვიხსნა, რომ ეს წიგნი ადამიანებს ათასწლეულების ისტორიას უყვება, იმას ასობით ადამიანი საკუთარი სისხლით ქმნიდა, აგროვებდა ფაქტებს, ცნობებს ამის თუ იმის შესახებ, აღწუსხავდა, გადაწერდა, ინახავდა და მერე ათობით წლების განმავლობაში ამუშავებდა, რათა გვექონოდა წარმოდგენა კაცობრიობის ისტორიაზე, შენ კი!...

და, ბოლოს, მკაცრად გვითხრა, წიგნი სასწრაფოდ წესრიგში მოგვეყვანა. ავიღეთ სადგისი, უხეში, მაგარი ძაფი, ნებო (სიტყვამ მოიტანა და, ვასილის ცამეტი წლისას საამიქინძაო საქმეში უკვე ჰქონდა გარკვეული ცოდნა და საერთოდაც ძალიან ხელმარჯვე იყო), რამდენიმე დღე ვინვაღეთ, ფურცლები ნუმერაციის მიხედვით დავალაგეთ, ავიკიშეთ და მაგარი გარეკანი გავუკეთეთ. სამუშაო ძალიან ზუსტად, ნისების დაცვით და დიდი მონდომებით შევასრულეთ, რის შემდეგაც წიგნი იოსებ ბესარიონის ძეს ვაჩვენეთ. სტალინმა შეგვაქო, გვითხრა, ყოჩაღად გიმუშავიათ, ახლა უკვე იცით, წიგნს როგორ უნდა მოექცეთო, რაზეც მაშინვე ვუთხარით, რომ მისი დაზიანება არც მაშინ არ გვინდოდა, მაგრამ არ ვიცოდით, წიგნი ასე ცუდად თუ იყო შეკრული, ასეთი ქარი თუ ამოვარდებოდაო... ეს ყველაფერი ჩვენთვის ისეთი გაკვეთილი იყო, რომ მას შემდეგ პირადად მე გაზეთსაც ვეღარ ვხევი... „ქარს დიდი ძალა აქვს, დახმარებაც შეუძლია და ნგრევა-განადგურებაც, ეს ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ“, — გვითხრა სტალინმა და თან აგვიხსნა, რომ იქნება ქარის ნისქილები, ისინი ქარის დახმარებით ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. მერე ის გვკითხა, გვსმენია თუ არა რაიმე ქარის ნისქილების შესახებ? ქარი ნისქილის ილაპს აბრუნებს, აწვება ლოტებს — ფრთებს, ლილვს ატრიალებს, ლილვი თავის მხრივ ატრიალებს დოლაბებს, ისინი მარცვლებს ფქვავს და ფქვილად აქცევენ... ამის შესახებ წიგნებშია დაწერილი, წაიკითხეთ, თქვენ იქ ბევრ საინტერესოს ნახავთო.

სტალინმა ბევრი რამ ისე გასაგებად გვითხრა, ისე აგვიხსნა, რომ მე ის სამუდამოდ დამახსოვდა. მე და ვასილიმ დავალეხა მივიღეთ, მერე სტალინს და კიროვს კითხვებზე ვუპასუხეთ. არ მახსოვს, სკოლაში მასწავლებლებსაც კი არ ჩამოეყვალბებინოთ კითხვები, ყველაფერი ასე უბრალოდ და გასაგებად აეხსნა... მახსოვს, პასუხის დროს შემეშალა და „პლუტარქეს“ მაგიერად „პლუტოკრატის“ ვთქვი. სტალინმა ჯერ სიტყვა „პლუტოკრატის“ მნიშვნელობა განმიმარტა, მერე სიტყვა „დემოკრატის“, ხოლო პლუტარქეს შესახებ ისიც მომიყვა, რაც წიგნში არ ეწერა. სიტყვა „პლუტოკრატის“ მნიშვნელობას რომ მისხნიდა, შეეხო საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში პოლიტიკურ ვითარებას. საუბრისას თავზე არ გახვევდა, არ გაძალებდა, ყველაფერს უბრალოდ და გასაგებად გიხსნიდა.

(გაგრძელება იმდნა)

ამერიკელი მიომომილარები ფიქრობენ, რომ რვა წლის წინათ რუსეთის საპარტეზლოში ინტერვენციამ და პოლიტიკის ატმოსფეროს დაარსებამ მიზანმიმართულად რუსეთის აბრეშოვანი გზის განვითარებას დააჩქარა...

რუსეთის მორიგი აბრეშოვანი გზის აპირაციის შესახებ

ამერიკელი ანალიტიკოსები რუსეთ-საქართველოს ომს აფასებენ



გაკეთდა. მოსკოვმა ამ მომენტით ისარგებლა. მან დაპირისპირება გააღვივა და საქართველოს ნატოში გაწევრიანება დაბლოკა. დღეს რუსეთი მეტი მონდობით აგრძელებს შეიარაღებული ძალების გაძლიერებას...

აშშ-ის ყოფილი წარმომადგენელი (ელჩი) გაეროში ზალმანი ხალილზადი ექსკლუზიურ ინტერვიუში საუბრისას მიიჩნევს, რომ ომი უკრაინაში 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენების გაგრძელებაა...

„2008 წელს, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიით, რუსეთმა მეზობელი ქვეყნების მოსაზრებად თამაში წამოიწყო. რვა წლის წინ მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობებში კრიზისი წარმოიშვა. გავაკეთეთ ის, რომ აგრესორი თბილისში ვერ შევიდა და მარიონეტი მთავრობა ვერ დასვა...“

სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსნის, დღეს კი „სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის“ პოლიტოლოგ ჯეფრი რათკეს აზრით, ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ, მოსკოვმა საქართველოში ეთნიკური დაპირისპირება გაამწვავა...

„ბუქარესტის სამიტზე საქართველოს განვითარების შესახებ ორპარტიანი სიგნალი

საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომის მერვე წლისთავზე აშშ-ის კონგრესმენმა ადამ კინზინგბერმა, რომელიც კონგრესში რუსეთის აგრესიის და ხელიშეწყობის მოქმედებების ერთ-ერთი მთავარი ოპონენტი, ჩვენს მაუწყებელს განუცხადა:

„რვა წლის წინათ, ამ დღეებში რუსეთმა დაარღვია ჩვენი უმნიშვნელოვანესი მოკავშირის – საქართველოს სუვერენიტეტი. არაფერი შეცვლილა რუსეთის ქმედებებსა და მისი სამხედრო მოქმედებები იმაზე უკეთესად, თუმცა ქართული დემოკრატია ძლიერ მაგალითს იძლევა რეგიონში, რაც თავისთავად, მკაფიო კონტრასტს ქმნის რუსეთის მზარდ ავტორიტარულ მმართველობასთან...“


„RADIO VOICE OF AMERICA“ (აშშ)

საბანკო სფერო

საქართველო ინვესტიციების უზრუნველსაყოფად

მომზადდა საბანკო სექტორში უახლოეს დროში მნიშვნელოვანი ძვრების მოსალოდნელი. კომერციულ ბანკ „რესპუბლიკის“ მფლობელი მძლავრი ჩინური სავაჭრო-სამრეწველო კორპორაცია „ჰუალინგ გრუპი“ განხილავს რამდენიმე წლის წინათ „ბაზისბანკის“ აქციების შეძენას.

მან ქუთაისში ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორია შეიძინა, სადაც ამჟამად აღნიშნული ავეჯის ქარხნის გარდა, ასევე ქვის დამამუშავებელი საწარმოები განთავსებულია. 2012 წელს კორპორაციამ სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვის მოპოვების ასევე 20-წლიანი ლიცენზია შეიძინა დაახლოებით 2,5 მილიონი კუბური მეტრი მასალის მოპოვების უფლებით.



华凌集团 HUALING GROUP

იმის მიუხედავად, რომ ვიდრე მანამდე „ჰუალინგ გრუპს“ საბანკო სფეროში არ უმოღვაწეობდა – აქამდე მისი ძირითადი საქმიანობა სავაჭრო და საბითუმო ვაჭრობის ცენტრების, ასევე სასტუმროების მშენებლობა და მართვა, ენერგეტიკული და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება, მეცხოველეობა, ჯანდაცვა იყო – საქართველოში კომერციული ინტერესთა სექტორის გაფართოებამ, საკუთარი ტრანზაქციების განხორციელების აუცილებლობამ მისი საფინანსო სექტორში ადგილის დამკვიდრების აუცილებლობა განაპირობა. თავის დროზე სწორედ ასეთი ნაბიჯები გადადგეს აზერბაიჯანელმა, თურქმა და არაბმა ინვესტორებმა, რომელთა ბანკები საქართველოში მოღვაწეობენ და მათ პროექტებს ემსახურებიან. ერთი კია, რომ ბანკი „რესპუბლიკა“ ქვეყნის ერთ-ერთი დიდი საფინანსო ორგანიზაცია იყო, რომლის ეროვნული ასპარეზიდან გაქრობა ბაზრის მონოპოლიზაციას შეუწყობდა ხელს.

ლინგ გრუპი“ „ბაზისბანკის“ აქციების 99,8 პროცენტის მფლობელი გახდა, თუმცა კი მისი მთავარი ფუნქცია ამჟამად არაა საბანკო პროდუქტების განვითარება და კლიენტების მოზიდვა, არამედ საკუთარი მიმდინარე და სამომავლო პროექტების ფინანსური მომსახურება. კომპანიის ყველაზე დიდი საინვესტიციო პროექტის – „თბილისის ზღვის ახალი ქალაქის“ განხორციელება ცნორედ მაშინ დაიწყო. წლეულს ივნისში საზეიმოდ გაიხსნა ჩინელი ინვესტორის ხელშეწყობით აგებული ასანოლიანი მრავალპროფილიანი „თბილისის ზღვის ჰოსპიტალი“, რომელიც კორპორაციის მოღვაწეობაში ამ სფეროში ასევე პილოტური პროექტია. რამდენიმე დღის შემდეგ კი საფუძველი ჩაეყარა საწარმო „შავი ზღვის ცემენტის“ მშენებლობას.

ლი ჩაეყარა საწარმო „შავი ზღვის ცემენტის“ მშენებლობას.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ „ჰუალინგ გრუპის“ წარმომადგენლებმა საქართველოს საპარტეზლო ბაზარზე ახალი ავიაკომპანიის შექმნა და დააარსეს, რომელიც საქართველოდან ფრენების განხორციელებას აზიისა და ევროპის ქვეყნებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან პირდაპირი ავიაკავშირის დამყარებას გეგმავს.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ დიდი ჩინური კომპანიის მიერ საქართველოში ერთ-ერთი დიდი ბანკის შექმნა, უწინარესად, იმის მანიშნებელია, რომ მას ქვეყანაში საქმიანობის გაგრძელება და გაშლა სურს, რაც ორ ქვეყანას შორის ინტენსიურად განვითარებადი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების პირობებში სავსებით გასაგებია.

ამასთან, ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ „ჰუალინგ გრუპს“ საბანკო სექტორში (ისევე, როგორც ჯანდაცვის სფეროში) მოღვაწეობის გამოცდილება არა აქვს, თუმცა კი იმედოვნებენ, რომ ისეთი წარმატებული ბანკისთვის, როგორცაა „რესპუბლიკა“, დამკვიდრებული პოზიციების ასე უბრალოდ დაკარგვა მართებული არ იქნება. ამდენად, სავარაუდოა, რომ ის მოქმედებას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ინვესტორს საბანკო საქმიანობის გამოცდილება უნდა ჰქონდეს და პროფესიონალური მართვა შეეძლოს, თანაც საამისოდ შესაბამისი ნებართვაც სჭირდება. ამდენად, თუკი საქართველოს ეროვნული ბანკი ამ ნებართვას „ჰუალინგ გრუპს“ გასცემს, მაშასადამე, ის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ალსანიშნავია ისიც, რომ ბანკი „რესპუბლიკის“ ფაქტობრივი მფლობელი ფრანგული „სოსიეტე ჟენერალი“ იყო. ახლა ჩინურ ბანკში, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყებს მოღვაწეობას, „სოსიეტე ჟენერალის“ წილი 8 პროცენტია, 3,9 პროცენტი – ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს ეკუთვნის, დანარჩენი 88,1 პროცენტის მფლობელი კი ჩინური კორპორაცია „ჰუალინგ გრუპი“ იქნება.

ოთარ ტურაბალიძე



08082016 – ს2-01

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტი“ ღირებულების პელორი ასატიანის მიმართვა

ძ-ნ თეა გუზუბიძის პ/ნ: 19001025402 (მსახურება)

ქ. თბილისი

მოგესალმებით ქ-ნო თეა, გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტი“ და თქვენს შორის 2014 წლის 7 მაისს გაფორმებული ნომერი: 051492699 საკრედიტო ხელშეკრულების, 2014 წლის 7 მაისს გაფორმებული ნომერი: №140456916 და №140453746 იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: 051492699-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2016 წლის 07 აპრილიდან იმყოფება ვადაგადაცილებად. თანახმაა შემოაღწიოთ ხელშეკრულებებისა, გერაცხებათ სოლიდური დავალიანება. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნა დაიფაროს არსებული დავალიანება მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტი“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტი“ დირექტორი პელორი ასატიანი

პასუხისმგებელი ოფიცერი ნიკო გურასაბაშვილი

ტელ: 2 340 940 მობ: 595 08 08 78

ქართველი ოლიმპიური ტაბლო

Rio 2016

სენსაციური რიოს კორტებზე



რიო-დე-ჟანეიროში დაიწყო 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, რომელშიც პლანეტის 207 ქვეყნის 11000-მდე წარმომადგენელი ეცილება ერთმანეთს მედლების 306 კომპლექტის სპორტის 28 სახეობაში. პირველი ჯილდოები უკვე გათამაშდა. სამწუხაროდ, პრიზიორთა შორის ჯერ-ჯერობით ქართველებს ვერ ვხვდებით.

ქიულა

კომპონენტა ტურნირზე ორი დღე მიიწურა. ოლიმპიურ ტაბლოზე ვეროპის ორი ჩემპიონი - ამირან პაპინაშვილი (60) და ვაჟა მარგველაშვილი (66) - ცდიდა ძალებს. პაპინაშვილმა შეჯიბრება შემართებით დაიწყო - ზედიზედ სამ მეტოქეს სძლია: კანადელ სერხიო პესოსას, ბულგარულ იანისლავ გერჩევსა და იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ ნაოკისა ტაკატოს, მაგრამ მომდევნო ორი ორთაბრძოლა რუსეთელ ბესლან მუდრანოვსა (მასთან მეშვიდედ დამარცხდა) და უზბეკ დიორბეკ უროზბოევიანთან დათმო და საბოლოოდ მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა. ოლიმპიური ჩემპიონობა მუდრანოვმა მოიპოვა.



ნილისყრის შემდეგ მარგველაშვილს ნახევარფინალში გასვლის ურიგო შანსი არ ჰქონდა, მაგრამ... რას ვიფიქრებდით, რომ სტარტზევე სლოვენელ ადრიან გომბოცთან ნააგებდა, თანაც იპონით და შეჯიბრებას უსახელოდ დაემშვიდობებოდა.

ბავიის სკოლა

ოლიმპიადების ისტორიას სამუდამოდ შემორჩება ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძისა და მისი ვაჟის ცოტნე მაჭავარიანის სახელები, რადგან ეს არის პირველი შემთხვევა, დედა-შვილს ერთად ეასპარეზოთ ოლიმპიურ თამაშებში. სხვა მხრივ, მათ რიოში ჯერჯერობით თავის გამოჩენა ვერ შეძლეს. პნევმატური პისტოლეტით სროლაში ოლიმპიადების დებიუტანტმა მაჭავარიანმა 574 ქულას მოუყარა თავი და ასპარეზობა 29-ე ადგილით დაასრულა.


ფინალში ვერც ნინო სალუქვაძე გავიდა - 377 ქულით 34-ე ადგილს დასჯერდა. ვაჟებში ჩემპიონობა ვიეტნამელმა ჰოანმა ოლიმპიური რეკორდით (202.5 ქულა) მოიპოვა, ქალებში პირველი იყო ჩინელი მენგხუე ჩანი (199.4 ქულა). ახლა ჩვენი მსროლელები ცეცხლის ხაზზე სპორტული პისტოლეტით გავლენ.

მხვილელისობა

რიო-დე-ჟანეიროში სამი ქართველი მხვილელისანი ქალი ცდის ძალებს. სამწუხაროდ, საკვალიფიკაციო ეტაპზე მათ საკუთარი შესაძლებლობები ვერ წარმოაჩინეს: სათუნა ნარიმანიძე 625 ქულით 34-ეა, ქრისტინე ესებუა 612-ით 45-ზე გავიდა, ხოლო იულია ლობჯანიძე 594 ქულით 57-ე ადგილი ერგო. სვალ ლობჯანიძე ოცდამეთორმეტეფინალში მექსიკელ ალესანდრა ვალენსიას შესვლება, ესებუა ინდოელთა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ დევიკა კუმართან გაარკვევს ურთიერთობას, ნარიმანიძე კი უკრაინელ ლიდია სიჩენიკოვას გაუწევს მეტოქეობას. ჩვენმა სამხვილელმა გუნდურშიც ცადა ბედი: პირველ წრეში მექსიკის ძლიერ გუნდს შეხვდა და 0:6 წააგო.

სურკა

რიოს ცისფერ ბილიკებზე ასპარეზობა დაასრულეს ქართველმა მოცურავეებმა: ირაკლი რევიშვილმა, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში მეორედ მონაწილეობდა, 400 მეტრი თავისუფალი ყაიდიით 4.00,56 წუთში გაცურა და 50 მონაწილეს შორის მხოლოდ 45-ე იყო. საკვალიფიკაციო ეტაპის ამერიკელ გამარჯვებულ კონორ დუაიერს (3.43,42) ჩვენებური 17,14 წამით ჩამორჩა.



მაიკლ ფელსი: არის მე-19 ოქრო

თეონა ბოსტაშვილმა 100 მეტრი ბრასით 1.22,91-ში დაფარა და 43 მონაწილეს შორის 42-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

ჩოგბურთი

ორი ძიუდოსტისა და მოცურავეების მსგავსად კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი დაემშვიდობა ნაადრევად ოლიმპიურ თამაშებს - ეს გახლავთ რეიტინგით 109-ე ადგილზე მყოფი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი: ჩვენებურმა პირველი შეხვედრა ურუგვაელ პაბლო კუევასთან წააგო (3:6, 7:6, 3:6), რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში 21-ე საფეხური უკავია.

ლემსო ცინცაძე

მედიალი 2 დღის შედეგები			
ძვირანა	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
აშშ	3	5	4
ჩინეთი	3	2	3
ავსტრალია	3	0	3
იტალია	2	3	2
სამხრეთ კორეა	2	2	1
უნგრეთი	2	0	0
რუსეთი	1	2	2
დიდი ბრიტანეთი	1	1	0
შვედეთი	1	1	0
იაპონია	1	0	6


მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი რიოს ოლიმპიადის პირველსავე რაუნდში არგენტინელ სუან მარტინ დელ პოტროსთან 6:7, 6:7 დამარცხდა და ტურნირს სენსაციურად გამოეთიშა. მთელი თამაშის განმავლობაში ჯოკოვიჩმა ვერც ერთი ბრეიკ-პოინტის მოპოვებაც ვერ შეძლო, ხოლო არგენტინელს 7-ჯერ ჰქონდა ბრეიკ-პოინტი, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა. ასე რომ, შეხვედრაში არც ერთი ბრეიკი არ შესრულებულა და ორივე სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. პირველ სეტში არგენტინელმა ტაი-ბრეიკზე 7:4 იმარჯვა, მეორეში კი - 7:2.



შეგახსენებთ, რომ დელ პოტრო რეიტინგში 141-ე ადგილზეა. აქტიური თამაშით მან 31 ქულა მოიგო, ხოლო ჯოკოვიჩმა - 14. 93 გათამაშება არგენტინელის გამარჯვებით დასრულა, 80 კი - ჯოკოვიჩის.

1/16-ფინალში არგენტინელის მეტოქე პორტუგალიელი ჟოაო სოუზა იქნება.

* * *



რიოს ოლიმპიადებზე საჩოგბურთო წყვილთა თანრიგის უპირობო ფაგორიტები დევი სერენა და ვინუს უილიამსები ტურნირს მოულოდნელად პირველსავე წრეში გამოეთიშნენ. ამერიკელები ჩესურ წყვილთან ლუსი საფაროვა - ბარბარა სტრიკოვასთან 3:6, 4:6 დამარცხდნენ.

პირველ სეტში დევი 2:0 დანინაურდნენ, მაგრამ ჩესებმა მოახერხეს ბრეიკის დაბრუნება და შემდეგ კიდევ ერთი შეასრულეს, რაც სეტის მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა. მეორე პარტიაში 4:4-ზე საფაროვა-სტრიკოვას წყვილმა ბრეიკი გააკეთა, რითაც საბოლოოდ მატჩის ბედი გადაწყდა. ჩესური წყვილი შემდეგ ეტაპზე კანადელებს ბუშარ-დაბროვსკის დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ დევი უილიამსები ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონები არიან.

კოზა კოზახიძე

ფეხბურთი

სამხრეთული 38-ე ადგილზეა

უფას საკლუბო კოეფიციენტების მიხედვით საქართველო 38-ე ადგილზეა და 16 ქვეყანას უსწრებს. ქართულმა კლუბებმა წლებანდელ ევროტურნირებზე 1,125 ქულა აიღეს. ცნობისთვის. მოგება 0,250-ით ფასდება, ფრე კი - 0,125-ით.

ფინეთს და არც ბოსნიას მიმდინარე ევროთასებზე გუნდი არ დარჩათ.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველო უსწრებს ლატვიას (მე-40), ესტონეთს (43-ე), სომხეთს (45-ე), ლიტვას (48-ე), აზერბაიჯანი კი უკვე 25-ე პოზიციაზეა.

2016/17 - 1,125 ქულა; 2015/16 - 0,625; 2014/15 - 1,250, 2013/2014 - 1,875, 2012/2013 - 1,500. ჯამში 5 წლის მონაცემებით - 6,375.



როგორც ხედავთ, ყველაზე ცუდად ჩვენმა გუნდებმა შარშან ითამაშეს. შანსი არის, რომ საქართველომ წლებანდელი მწირი მონაგარი გაზარდოს. თბილისის „დინამო“ ევროპის ლიგის ფლეი-ოფშია გასული და ბერძნულ პაოკს სვდება. 37-ე ადგილზე ბოსნიაა, რომელიც 0,250 ქულით გვისწრებს, ხოლო მის წინ მყოფი ფინეთი - 1,275 პუნქტით. არც

აქვე პირველი ათეულიც. რა თქმა უნდა, სოლიდური ფორით ლიდერობს ესპანეთი და ეს გასაკვირი არაა, რადგან იტალიურმა ევროტურნირები ბოლო წლებში ლამის საშინაო საქმედ აქციეს. აი, მეორე-მესამე-მეოთხე ადგილებს შორის კი ქულებში დიდი სხვაობა არაა.


1. ესპანეთი - 87,14; 2. გერმანია - 66,784; 3. ინგლისი - 62,891; 4. იტალია - 60,665; 5. საფრანგეთი - 44,082; 6. რუსეთი - 42,982; 7. პორტუგალია - 42,915; 8. უკრაინა - 38,233; 9. ბელგია - 31,700; 10. თურქეთი - 31,400.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

რინალდუს სხელი ზაფხული

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული კრიშტიანუ რონალდუ ფინალურ მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ აღდგენით პროცესს გადის და კუთვნილ შევებულებას ურიგოდ ნამდვილად არ ატარებს. პორტუგალიელი ვარსკვლავი ახალ მეგობარ გოგონასთან ერთად ისვენებს.



როგორც ირკვევა, კრიშტიანუს გულში და არამარტო გულში ირინა შეიკის ადგილი ცნობილმა ფიტნეს-მწვრთნელმა კასანდრა დევისმა დაიკავა, რომელიც თავისი ფიგურის დემონსტრირებით სოციალურ ქსელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კრიშტიანუ და კასანდრა დროს მაიამიზე სიმყუდროვეში ატარებენ, თუმცა, პაპარაცების თვალს მაინც ვერ დაემალნენ და მათი ფოტოები ინტერნეტში მოხვდა.

ლენტიანი სხვის ისვლის

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ ლენტეხის მუნიციპალიტეტში საავტომობილო ხიდებისა და შიდა ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტს მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს და მისი ღირებულება 943 000 ლარია.

სამუშაოები, პარალელურად, რამდენიმე ადგილას მიმდინარეობს: რეაბილიტაცია უტარდება სოფელ ტვიბის (მდ. მუხურაზე მდებარე), სოფელ ჭელეშისა და სოფელ დურაშის საავტომობილო ხიდებს. ახალი ხიდი აშენდება სოფელ მამი-ედიყის მიმართულებით. ასევე, ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს დაბა ლენტეხში.

რამდენიმე ათეული წლის წინათ აშენებულ, მწყობრიდან გამოსულ ხიდებს, დღემდე, სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებია, რაც ადგილობრივ მოსახლეობას უამრავ პრობლემას უქმნიდა. პროექტის ფარგლებში, 50-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა. სამუშაოები მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და 2017 წლის გაზაფხულზე დასრულდება.



რილში დაიწყო და 2017 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი გაიზარდა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის ივლისის მდგომარეობით, საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში ექსპორტირებულია 23 932 067 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 42%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 55,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია გასული წლის ამვე პერიოდის მაჩვენებელზე.

საანგარიშო პერიოდისთვის ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთი - 152% (2 475 557), ბელარუსი - 122% (575 166), უკრაინა - 72% (2 595 947), რუსეთი - 50% (12 748 273), პოლონეთი - 29% (1 190 926), ესტონეთი - 57% (379 650), ყირგიზეთი - 107% (163 966), გერმანია - 21% (174 166), იაპონია - 12% (101 448), დიდი ბრიტანეთი - 44% (58 618), და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (12 748 273), უკრაინა (2 595 947), ჩინეთი (2 475 557), ყაზახეთი (1 924 046 ბოთლი) და პოლონეთი (1 190 926).

ადგილობრივი მწარმოებლების დასახელების ღვინოებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ - 3 210 280 ბოთლი, „მუკუნანი“ - 1 230 522 ბოთლი, „წინანდალი“ - 1 016 107 ბოთლი, „ახაშენი“ - 518 170 ბოთლი, „ხვანჭყარა“ - 169 371 ბოთლი და ა.შ.



სულხან მოლაშვილი არ მოქცდება... მან სხვა სივრცესა და განზომილებაში გადაინაცვლა... ამას გარდასვლა ჰქვია!

სულთი სორცამდე შემდრ ცნობამ სულხან მოლაშვილის გარდაცვალების შესახებ. უეცრად დრო გაჩერდა, თითქოს ყველაფერმა აზრი დაკარგა. საქართველოში არმყოფმა, ვერასგზით აღიქვა და გააცნობიერე თავზარდამცემი ამბავი. მით უმეტეს, რომ მკურნალობამ აშკარად შედეგი გამოიღო და ყოველივე, ერთი შეხედვით, უკეთესობისკენ მიდიოდა.

მოგვიანებით, როცა მთლიანად გავაცნობიერე მომხდარის ტრაგიზმი, მივხვდი, რომ დავკარგე უძვირფასესი ადამიანი, კეთილი მრჩეველი და დამკვალიანებელი, რომელმაც ბოლომდე უერთგულა მამაჩემს - ნუგზარ საჯაიას. თვალწინ მეტეორივით ჩაიქროლა ბატონ სულხანთან გატარებულმა თითოეულმა წამმა. მასთან ურთიერთობისას იშლებოდა ყოველგვარი ასაკობრივი ზღვარი. მე მისთვის ერთდროულად ვიყავი შვილი, მეგობარიც და თანამშრომელიც. მან ჩემში იგულა ადამიანი, რომელსაც შეიძლება ბოლომდე უყოყმანოდ გაენდო. ჩვენი ურთიერთობა მოიცავდა მრავალ სფეროს. ეს არ იყო მხოლოდ ყოფითი პრობლემები. მე მისგან ვიღებდი უაღრესად საჭირო რჩევადარგებებს პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ თუ პირად საკითხებზე. ღრუბელივით ვისრუტავდი მისგან წამოშლული თითოეულ სიტყვას, ფრაზას, შეგონებასა თუ დარიგებას. სხვანაირად შეუძლებელი იყო, რადგან ბატონ სულხანში შენივთებულ შედუღებული იყო ჭეშმარიტი ქართველი და ნაღდი თბილისელის დახვეწილი მანერები, დიდი ინტელექტი, ერუდიცია და განათლება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია ერთი ამონარიდი სულხან მოლაშვილის საგაზეთო სტატიიდან: „ამაყი განრდება“ (ნუგზარ საჯაიას გარდაცვალების გამო); „საგანგებოდ გამორჩეულთა უპირატესი სვედრია ეგზომ უშიშარი გადანყვტილების აღსრულების უნარიცა და ნიჭიც. ისიც საოცრად შთამბეჭდავია, ერთხელ ნაბოძებ სიცოცხლეს მხოლოდ საკუთარ პერსონასთან იდუმალ დათათბირების შემდეგ ქედმაღლური უესტით რომ გადაულოცავ არანაკლებ იდუმალ მარადილობას.

აუცილებლად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბატონი სულხანი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. იყო თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ოჯახის მოსიყვარულე ადამიანი. მას შეეძლო, გაეცა უღელი და სანაცვლოდ არაფერი მოეთხოვა. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, ვერ დავეთანხმები ბოლომდე ამ მოსაზრებას. დრომ შეიძლება განკურნოს ხორციელი ჭრილობა, მაგრამ სულიერი იარის მოშუშება არ ძალუძს. მიჭირს დაჯერება, თუმცა, ფაქტია, რომ უკვე ორმოცი დღე მიილია, რაც სულხან მოლაშვილი ზეციური საქართველოს მკვიდრია. ღრმად მწამს, რომ მან ღირსეულ მამულიშვილთა და მართალ კაცთა შორის დაიგანა. მისი ნატანჯი სული და სისხლი დღესაც ღმერთს ცაში შესწუხწუხებს და სამართალს ითხოვს, იმ სამართალს, რომლის აღსრულებასაც არადა არ დაადგა საშველი. თუმცა, ღმერთია ყველას პირუთვნელად გამსჯელი და მონაწიეობრივი სიკვდილიც უფლის სამსჯავროს მიერ სათანადოდ შეფასდება.

სრულიად საქართველოს სულიერმა მამამ, ჩვენმა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სულხან მოლაშვილის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე განაცხადა: „ჩვენ ვიზიარებთ ოჯახის მწუხარებას, თუმცა, ეს სცდება ოჯახის ფარგლებს, ეს არის მწუხარება სრულიად საქართველოსი“, როგორც ყოველთვის, ჭეშმარიტებას ღაღადებს პატრიარქის ბაგენი, რამეთუ ბატონი სულხანი, ეს ჯიშინი ქართველი, თხემით ტერფამდის ინტელიგენტი, პრინციპული და შეუვალი, მართალი და პატიოსანი ადამიანი მოუკვდა ყველა ჩვენგანს და მისი ჭირისუფალი საქართველოს ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებაა. ჯალათმა მხოლოდ სხეული ჯიჯგანა უმოწყალოდ, ხორცი შელახა... უკვდავ სულს, მრავალგანსაცდელ გამოველილს, გამოპრქმედილ და გამოწრთობილს ვერა დააკლო რა. ასეთია ერის, ბერისა და უფლის განაჩენი. სულხან მოლაშვილი არ მომკვდარა... მან სხვა სივრცესა და განზომილებაში გადაინაცვლა... ამას გარდაცვალება ჰქვია!


დავით საჯაია

სიტყვა ერთი უსაყარტლოდ მივიწყებული სიტყვის აღსაღბენად

ერთბან (წიგნი „როგორ იქმნება კანონი“, გვ. 385) ეწერა: „ვიზიტის დროს მასპინძელი მხარე თავისი უმაღლესი თანამდებობის პირის - პრეზიდენტის, მეფის, პრემიერ-მინისტრის... სახით იღებს საპატიო (და არა მაღალ) სტუმარს. ამ ამბავს რომ აშუქებენ, უურნალისტები, მაგალითად, ასეთ კონსტრუქციას იყენებენ ხოლმე: „დღეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ელისეს სასახლეში მიიღო ჩილეს პრეზიდენტი. მიღებას, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, ესწრებოდნენ ეროვნული კრების თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და სხვა ოფიციალური პირნი“...

თა ოფიციალურ (მეგობრულ, საქმიან, სამუშაო) ვიზიტებს, მათთან შეხვედრებს, მოლაპარაკებას (და არა მოლაპარაკებებს!), მათ ამსახველ ინფორმაციაში, როგორც წესი, იხმარება „მიღება“, მიღებაზე „მიღებას“, მაშინ როცა თავისუფლად შეგვიძლია (შეგვიძლია კი არა, უნდა) გამოვიყენოთ სიტყვა **დარბაზობა**. ზემოთ მოყვანილ მაგალითს თუ დავუბრუნდებით, გვექნება: „დღეს საფრანგეთის

ზმნების არც მთლად მარჯვედ გამოყენების შემთხვევებს. ამ ზმნებს, ერთად აღებულს, 35-მდე მნიშვნელობა აქვთ. ყველა ან თითქმის ყველა ბუნებრივი და ჩვენი ენისათვის დამახასიათებელია. თითქმისო, რომ ვამბობთ, იმიტომ ვამბობთ, რომ მეტ წილ შემთხვევებში თავისუფლად შეიძლება ზოგიერთ კონტექსტში მათი შეცვლა უკეთესი ფორმებით. აი, რამდენიმე მაგალითი: „ეკლესია პირვანდელ სახეს მიიღებს (აჯობებდა: **დაიბრუნებს, ან კვლავ შეიძენს**, ან ეკლესიას პირვანდელი სახე მიეცემა)“; „ჩნდება შესაძლებლობა, რომ აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის განხორციელება მთლიანად გაერომ აიღო თავზე (უნდა იყოს: **იკისროს, ან თავს იდოს, ან იტვირტოს**)“; კახელმა მეზვერებმა წლეულს ყურძნის მაღალი (შდრ. რუსული „**высокий**“). უნდა იყოს: **უხვი**) მოსავალი მიიღეს (უნდა იყოს: **მოიყვანეს, ან მოინიეს**)“; „პრეზიდენტმა მაღლობით მიიღო მინვევა (უნდა იყოს: პრეზიდენტი მაღლობით დაეთანხმა **მიწვევას**)“; პრემიერ-მინისტრი **იღებს** (უნდა იყოს: **ეთანხმება**) მინისტრების გადადგომას“. სხვას რომ თავი დავანებოთ („**высокий**“ ნიშნავს მაღალსაც, საპატიოსაც, უხვსაც...), ბოლო ორ მაგალითში, კერძოდ, აშკარად იგრძნობა რუსული **принять** ზმნის გავლენა. მაგრამ ამავ ზმნის მე-6 მნიშვნელობა - **согласиться с чем-нибудь, отнестись к чему-нибудь положительно** - საშუალებას გვაძლევს სხვაგვარად გამოვხატოთ სათქმელი. ამიტომ საყვებით მართებულია მსგავსი ინადადებებში **დაეთანხმება, ეთანხმება** ზმნების ხმარება.



პრეზიდენტმა ელისეს სასახლეში მიიღო ჩილეს პრეზიდენტი. დარბაზობას, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, ესწრებოდნენ“... ცოტათი მაინც ხომ უკეთესია?

ხელახლა უნდა დავამკვიდროთ ეს ფორმა ჩვენს სამეტყველო პრაქტიკაში.

რაკი სიტყვა „მიღებაზე“ ჩამოვარდა, ბარემ აქვე შევეხოთ მოკლედ **აიღებს, იღებს, მიიღებს**


ოთარ კახანაძე

ყურადღება!

„ლიტერატურული ბაზრობა“

თქვენი პუბლიკაცია ჩვენს ბაზრობაში!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინწყებს ნაწარმოებების მიღებას ახალ საინფორმაციო-სარეკლამო პროექტ „ლიტერატურული ბაზრობაში“ მონაწილეობისათვის.



ვინცვეთ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, პუბლიცისტებს, რომლებსაც სურთ, გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, განათავსონ ინფორმაცია ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე, ასევე შესაძლებელია ობიექტური რეცენზიების პუბლიკაცია (რომლებიც არ შეიცავენ ესთეტიკურ შეფასებებს). ავტორებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა არა მხოლოდ გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამოცემის ფურცლებზე, არამედ მიიზიდონ გამომცემელთა და კრიტიკოსების ყურადღება, გახადონ უფრო მკაფიო თავიანთი ლიტერატურული ბედი.

„ლიტერატურული ბაზრობა“ გამოდის კომერციულ საფუძველზე, რაც ავტორს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს პუბლიკაციის მოცულობა.

შეფასებები მითითებულია „საქართველოს რესპუბლიკის“ საიტზე. ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს განყოფილებაში „ლიტერატურა“ ელექტრონულ მისამართზე sakresp@mail.ru შენიშვნით წერილის თემაზე „ლიტერატურული ბაზრობა“.

რა თქმა უნდა, მსურველებს შეუძლიათ, რომ რედაქციაშიც მობრძანდნენ.

ფასების ნიხრი ასეთია:

- ლექსის სტრიქონი - 15 ლარი,
- მოთხრობის ერთი კომპიუტერული გვერდი - 30 ლარი,
- პიესის თითო კომპიუტერული გვერდი - 20 ლარი,
- პუბლიცისტური წერილის გვერდი - 25 ლარი,
- ცნობა ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე - 15 ლარი,
- რეცენზიის ერთი კომპიუტერული გვერდი - 25 ლარი.

შემოსული ნაწარმოებები დაიბეჭდება ყოველ შაბათს სპეციალური ჩანართის სახით.

ანაკლოზები

თუკი ღამე სიგარეტი დაგიმთავრდათ, გარეთ ცივა, თქვენი და მალაზიაში წასვლა გეზარებთ, კერის მეზობელს მიაკითხეთ და ერთი კვირით ათასი ლარის სესხება სთხოვეთ. როცა მის პასუხს მოისმენთ, მწარედ ამოიხრეთ: „ეჰ, შენ ჩემი ბოლო იმედი იყავი... რას ვიზამთ... სიგარეტი მაინც მომანეწე!“ დარწმუნებული იყავით, რომ ათიდან ცხრა შემთხვევაში იგი სიხარულით მოგცემთ მთელ კოლოფს, თანაც თავადაც ბედნიერი იქნება, რომ ასე იოლად გადაარჩა!

ცდამაინც კეთილი თვალები არა მაქვს. ამიტომაც, თუ აუცილებელი არ არის, სარკეში ზედმეტად ჩახედვას ვერიდები, იმიტომ რომ საკუთარი თავის გათვალისწინებით.

* * *

მაღაზინაში:

მყიდველი: - გენაცვალე, ეს

კარტოფილი გენმოდისცირებულია?

გამყიდველი: - არა, რატომ, მკითხვებით?

კარტოფილი: - დიახაც, ვარ, რატომ მკითხვებით?

* * *

- რა დიდებული ქალი შეგირთავს ცოლად, ჭიჭიკია, სად მონახე ასეთი სათნოება?

- სადგურში პატრულს ეჩხუბებოდა!.

* * *

- ბიჭო, ისევ ბერბიჭა ხარ? აუცილებლად ცოლი უნდა შეერთო.

- ვითომ რათათ?

- რათა და იმათა, რომ ნამეტნავად მხიარული სიფათით დაიარებო.

* * *

- ძაღვს რა უჭირთ - დაქალებთან ნაიჭორავებენ, მიწაში ათასჯერ ჩაგდებენ-ამოგიღებენ და დათრობაც აღარ სჭირდებათ!

* * *

- მონად გითხრათ, რომ მაინც

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ძ. №3.

293-13-34; 599 797679

სანბრძლივი ფრენა სხლისკენ

მტრადი - განსაკუთრებული ფრინველია, რომელიც დედამიწაზე უსხოვარი დროიდან ბინადრობს. წარღვის შემდეგ, რათა გაეგო, გამოჩნდა თუ არა ღვთის რისხვის შემდეგ ხმელეთი, ნოემ მტრადი აფრინა, რომელმაც მას ამის დასტურად ზეთისხილის რტო მიუტანა...




ბიოლოგები გაცხადებენ არიან მტრადის მხედველობით - მას ვერც კაშკაშა მზე ვერ აბრმავეს, ვერც... ლაზერი - ეს თვალის ბადურის განსაკუთრებული აგებულების წყალობაა, რომელიც სისქეს იცვლის. ადამიანისგან განსხვავებით მტრადი წამში 75 კადრს აღიქვამს.

ჩელიაბინსკელი მემტრადე ვეგანი ნიკულინი ერთ ფრინველს იხსენებს, რომელიც მშობლიურ გალიას... რვა წლის შემდეგ დაუბრუნდა:

- აღარც მახსოვს სად გავუშვი, ის დაიკარგა და მისი არსებობაც გადავიწყვიტე. ერთ მშვენიერ დღეს კი ვხედავ - აგერ, მოფრინდა! ფეხზე ჩემი რგოლით შევიცანი, რომელზეც თარიღი იყო ამოტივტივებული. სად დაფრინავდა მთელი ამ ხნის მანძილზე, დღემდე კაცმა არ იცის!

მოკვლევა უიქით...



შარლ ბიტომ, რომელმაც 1881 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯეიმს ჰარფილზე თავდასხმა მოახდინა, როგორც ჩანს, იცოდა, რომ ისტორიაში შევიდოდა.

მკვლელობის იარაღად მან რევოლვერი „ბულდოგი“ შეარჩია, რომელსაც სპილოს ძვლის ტარი ჰქონდა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ, მისი აზრით, ასეთი იარაღი... მუხეუმში უფრო ლამაზი სანახავი იქნებოდა.

თუ კაცის ჩახაზა მიღვა საქმე...

ჩვეულებრივ, როცა მოდასა და ჩაცმის დაუნერვლ ნესებზეა ლაპარაკი, აქცენტი ქალბატონების სამოსელზე კეთდება, თუმცა კი გარკვეული რეკომენდაციები მამაკაცებისთვისაც არსებობს.



მაგალითად, პოლოს მაისურის და აპაშის ტიპის პერანგის საყველეს პიჯაკის ლაცკანებზე გადმონვა რა „განგსტერული“, არამედ წმინდა წყლის „სოფლური“ სტილია; არ შეიძლება პიჯაკის ქვემოთ ლემქლავებიანი პერანგის ჩაცმა; მთავარი წესი ისაა, რომ მისი მანუეტი პიჯაკიდან 1,5 სანტიმეტრზე უნდა ჩანდეს; ასევე მიღებული არ არის პიჯაკის ყველა ფოლაქის შეკვრა: თუკი ის ორდილიანია, ზედა შეკრული, ქვედა კი აუცილებლად გახსნილი უნდა იყოს. თუკი მას სამი ღილი აქვს, მაშინ შეკრული, ზედა და შუა, ან მარტო შუა უნდა იყოს, ბოლომდე მხოლოდ ოთხფოლაქიანი სამხედრო ფრენები უნდა შეიკრას; ქამარი და ფეხსაცმელი ერთი ფერი-სა უნდა იყოს. თუკი კლასიკურ შარვალს იცვამთ, ქამარი ფეხსაცმლის ფერისა და ფაქტურის შესაფერისი უნდა გეკეთოთ. შავი ფეხსაცმლისა და ყავისფერი ქამარის შესამება უგემოვნებაა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ქამარი ჭიპის ახლოს, ოღონდ არა მის ზევით უნდა იკვრებოდეს; სანდლებზე წინდების ჩაცმა დაუშვებელია - ღია ფეხსაცმელი შიშველ ფეხზე უნდა ჩაიცვათ, იმის მიუხედავად, კაცს შარვალი აცვია თუ შორტი.

უნიღბული არსი

ადამიანთა უმრავლესობა ვერ ხვდება, როდესაც მას... ვარაუდებიან. კომუნიკაციების სფეროს სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მხოლოდ მამაკაცების 3% და ქალების 1% პროცენტი ხვდება, როცა სანინალმდეგო სექსის წარმომადგენელი მათ ვარაუდობ.

მეცნიერები ასევე აღნიშნავენ იმასაც, რომ „ფლირტაობა“ ასევე საკმაოდ ძნელი შესამჩნევია გარეშე დამკვირვებლისთვის - თანამოსაუბრეთა ერთმანეთისადმი „სხვანაირი“ ინტერესი გარშემო მყოფთაგან მხოლოდ ყოველმა მეხუთემ შეამჩნია.

თურმე, ჯერ ინტელექტი, მერა ფეხები

აღმოჩნდა, რომ უცხო ქალის პირველად ნახვისას მამაკაცები მას ფეხებზე კი არ უყურებენ, როგორც ეს, რატომღაც, აქამდე იყო მიჩნეული, არამედ თვალში ცდილობენ ჩახედონ.

ამის მიზეზი, თურმე, ის ყოფილა, რომ ყველა მამაკაცი - ქვეცნობიერად! - უწინარესად მისი ინტელექტის დონის დადგენას ცდილობს.

ამის გარდა, გაირკვა ისიც, რომ არც ქალის ფეხების სიგრძეს ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია ისინი სწორი იყოს, რაც, თურმე, კარგი გენეტიკის ნიშანი ყოფილა. ასევე კარგ გენოტიპზე მეტყველებს სახის სიმეტრიული ნაკვთები და სწორედ ამიტომაც, რომ მამაკაცებს, სხვებზე მეტად, ლამაზი ქალები მოსწონთ. თუმცა იგივეს თქმა ქალებზეც შეიძლება.



საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოზულია 293-13-34 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16;

ალექს ასლანიშვილი 599 56-81-86; რუსლან რუსია 599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „თანადგომი“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყოველი ნომრის შექენით

თქვენ აკლიარაბთ 100 წლის „საქართველოს რესპუბლიკას“! გმადლობთ!

უსსოპრი ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.345; ევრო - 2.617; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.087; 100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.78; აზერბაიჯანული მანათი - 1.441; 1000 სომხური დრამი - 4.92

აიონი 9 აპრილისთვის: აღმოსავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე +17, დღე +37; შიდა რაიონები - ღამე +12, დღე +32; დასავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე +18, დღე +35; შიდა რაიონები - ღამე +15, დღე +33; თბილისი: ღამე +20, დღე +36

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE